

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ეროვნული



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 73

2020



მთ. რედაქტორი

გულნაზ ხუსა

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-880-9 (73 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აკტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე უსრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აკტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებით და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აკტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი
ვაჟიმვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მვი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლებელი დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულუიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

შინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის ლირიკული გმირის სევდა –
ვარამი უფრო მეტად პუშკინის ლირიკული გმირის სევდას ენათესავება, „ნათელია მისი სევდა“. იგი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული გმირიც, ქედს არ იხრის ბედისწერის წინაშე და ამაყად აცხადებს:

„ქედს მაინც არ ვხრი მის წინ!“

ღამის ბილიკით მოეშურება,

გვინდა –

არ გვინდა,

მაინც გვეწვევა –

დღის ნასახლარზე

გაუვალი ღამის მკმეველი,

ღამორგუნველი და ღამარბეველი,

ჩვენი სიცოცხლის

დაცამლეწავი.“



ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, ვაჟა ეგრო-
სელი ოპტიმისტია, სიკვდილს, მის პოეზიაში, სი-
ცოცხლე და სილამაზე სძლევს:

„ოოლიების ფრთებზე როკავს წვიმა
მკათათვის
და აღსავლიდან,
ვიდრე დასავლით
გადებულია ცისარტყელას ფერადი ხიდი.
და დღე დაღლილი ჩუმად გადადის.

აზროვნება კაცისა მუდმივ ჭიდილშია წარმავა-
ლობასთან და წარუგალობასთან:

ფიქრები – რემა ჭიანჭველების
ფუსფუსებენ და არ გვაძლევენ
წუთებს უზრუნველს...
აზრი კი –
დედა ჭიანჭველების –
აღარ ისვენებს
ძილშიც და ცხადშიც,
სულ რაღაცაზე წუხს და ბუზღუნებს.

ეს ლექსი მკითხველს უქმდებად გაახსენებს
ფრთიან ფრაზას, რომლის თქმაც ხშირად უყვარდათ



ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს: „ვაზროვნებ, მაშასა-
დამე, ვარსებობ“ („Cogila ergo sum“).

ვაჟა ეგრისელის ლირიკული გმირის დაღადის-
ში ვხედავთ დროისა და სივრცის პრობლემის ფი-
ლოსოფიურ გააზრებას: იგი ბედისწერის პრობლემის
გადაჭრას ეხმიანება, მიისწრაფვის - „მარადისობა
ხელთ აიღოს, ვითარცა შუბი“. ეს:

ქარი – მოცარტი
ზღვის ვეება პიანინოზე
თმაგაწეწილი უკრავს რექვიემს...

* * *

... და ქარიშხალი როცა წავიდა,
ზღვა გაეტირა უკან ბალლივით.

* * *

კავგასიონი გაწოლილა ბნელში სფინქსივით
და ყინვით დამზრალ ტორებს ილოკავს.

ვაჟა ეგრისელი ბუნების სიმშვენიერით ტკბობის
ზეგარდმო ნიჭითაა დაჯილდოებული, იგი ბუნებას
ხან პირველი თოვლის სისპერაკედ, ხან იასამნის
ლურჯ გალობად აღიქვამს. ზოგჯერ მისი შაირები
ძველი ბერძენი პოეტის ანაკრეონტის ნატიფ, მსუბუქ



ლექსებს მოგვაგონებს. გავიხსენოთ ანაკრეონტის
სტრიქონები:

„...მიწას იისფერს, იაკინთისებურს და წარმტაცს,
სადაც დვოიურმა აფროდიტემ ლამაზ აღვირით
ცხენი დაბაბა.“

„...ზეთისხილის და დაბურული დაფნის მწვანეში
თავდაგიწყება.“

და რა გასაკვირიამ თუ ზოგჯერ ვაჟა ეგრისე-
ლის ლექსები დიდი რომანტიკოსის ალექსანდრე
ჭავჭავაძის შაირებს გვაგონებს, როგორიცაა:

„ლიმილმან კარი ლალისა
განაღო გამჭვირვალისა,
დღეს ესე ქმარის სიმდიდრედ,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.“

ვაჟა ეგრისელი ზოგჯერ ეპლესისტესა
და აკრელიუსის მაგივრად აზროვნებს და ხე-
დავს:

არყოფნის მაღალ აივანზე
დამსხდარ აჩრდილებს...



ღამის წევდიადს ვერთვით
და ვერთვით...

ყველაფერი, ყველაფერი ცხადი არი,
ყველაფერი,
ყველაფერი სიზმარია.

პოეტის ხალასი ნიჭი ვლინდება მის ნატიფ,
დახვეწილ გემოვნებაში, შინაგან სულიერ არისტოკ-
რატიზმში და მკვეთრად გამორჩეულ საკუთარ ხმა-
ში. გაოცებას იწვევს თუ როგორ ახერხებს მინიატუ-
რულ ლექსებში ვაჟა ეგრისელი ასეთი დიდი აზრის
ჩაგვირისტებას:

ქალაქს წასული ცოტა ხნის უპან,
დავიტრუნდი სოფლად მხიარული და
მიხარია.

კუხმობ მეზობლებს: ივანე,
ლუპა

ძაგა, გაგიძ და პესარია –
სად ხართ!...
ქვითინებს უპატრონო ეზო და შუპა! –
აქ იყვნენ...

ახლა ადარ არიან...

პოეტი ადამიანური არსებობის აზრს ჰქედავს
მხოლოდ იმაში, რომ ვიცოცხლოთ სილამაზისა და



სიყვარულისათვის, რამეთუ მხოლოდ ამით შეგვიძლია დავამარცხოთ სიკვდილი:

ავაგიზგიზოთ სიკეთის და რწმენის კოცონი,
რომ ბინდისფერი ცრუ სოფელი გავაჩირადდოთ.

გამოჩენილ ფრანგ პოეტს ანდრე შენიეს ეკუთვნის ასეთი გამოთქმა: „მხოლოდ გულია პოეტი“ (Le cocur c'est la poere). ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ვაჟა ეგრისელის შესანიშნავ ლექსს ვკითხულობდი („მანე და მონე“), რომელიც მან ფრანგი იმპრესიონისტების გამოფანას მიუძღვნა:

ვერთა უდაბნო –
სასთუმალი თავდავიწყების,
ქალიშვილები, პიანინო,
მთვარის მარაო,
შეჩერებულა დრო და ქამი და არარაობს.
და ყოველიგას –

აქ ფუნჯი მონებს.
აქაა ყველა მოსაგონარი:
დგეა, პიკასო, რენუარი, მანე და მონე,
დიდი გოგენი,
პისარო და ბრძენი ბონარი.



პოეტი ფერწერის ოსტატთა ხელოვნების საიდუმლოების ლაბირინთებში ისე თავისუფლად მოგზაუროს, რომ გრძნობ, წინ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში დიდი განსწავლულობა და საკუთარი მხატვრული შემძინების აღღო მიუძღვის. სხვა მხატვრებზე უფრო ხშირად დადო გუდიაშვილს ახსენებს მზერას მის ფანქრით ნახატ „დაჭყლებილ ტვინს“ და „შეგინგულ უმანკოებას“ მიაპყრობს. იგი მუსიკის დიდი თაყვანისმცემელიცაა. ბერ ხოვენის მეცხრე სიმფონია მას თავის საყვარელ სტიქიას – ზღვას და ქარიშხალს აგონებს. მოცარტიც იმიტომ უყვარს, რომ მის მიერ კომპოვიზიურად თავმოყრილ ბგერებში მშობლიური ბუნების ენა ესმის.

* * *

თვალშეუგალია ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლირიკა. იგი ფესვებით ქართველ კლასიკოსთა ბრწყინვალე ლექსებსა და ქართულ ხალხურ ფოლკლორშია ჩაწეული და ლადად ამოვარჯებული. იგი ასეულობით ლექსს უძღვნის მამულის წარსულს, სამშობლოს უკვდავებისათვის ნაღვაწ და თავგადადებულ გმირ წინაპრებს, საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას.

პოეტს „საქართველოს წარსული სტკივა“. მისი საოცნებო და მუდამ სანატრელი მშობლიური ცა და



მიწა, იგი მისი დიდებით შემოსვისათვის იღწვის და
ოცნებობს, რომ სიკვიდილის შემდეგაც ადამადლებ-
დეს მას:

დაე, სადმე აგიმადლო მიწა,
თუ ვერ გარგებ
ამ სოფელში მოცდით.
პე, მამულო! მინდა მოვკვდე შენოვის,
შენს დარაჯად ვიდგე ერთი ბორცვი.

იმავე გრძნობითაა გასხივოსნებული პოეტის
ლექსი „დიდი პატანი“, რომელიც შვილებს – ზუ-
რაბს და დაჩის ეძღვნება:

...ჩემი სამშობლოს
სიყვარულის დამადგით ძეგლი...
და... უკვდავება იქნება ჩემი.

პოეტი სიკვდილსაც არარად მიიჩნევს, როცა
თვალწინ ლომბგული წინაპრები ეხატება და ყურში
დიდი დავითის „გალობანი სინანულისანი“ ჩაეს-
მის:

სივრცეებს ზარავს უმხედრებო
ცხენთა ჭიხვინი,
სიკვდილი დაჲქრის ფრთხით ისრების...
დამარცხდა მტერი...



კარგად ვიომეთ! –
ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარს...
წარსულის მძიმე ომის კვამლში წევს
ბახტრიონი,
ვითა ცხადი დ... ვითა სიზმარი.

* * *

და ტანჯვის მძიმე
გრდემლზე გდია
პოეტის სული,
ჟამი – მჭედელი
მზის უროთი კვერავს
და კვერავს.

ჟამი მჭედელია, რომელსაც მზის უფრო მოუ-
მარჯვებია და პოეტის სულს, ტანჯვის გრდემლზე
დადგბულს, აღამაღლებს და, დღეს თუ ხვალ, უკვდა-
ვებას შერთავს.

პატრიოტული ლირიკის ოქროს საგანძურში იმ-
ავიდრებენ ადგილს ვაჟა ეგრისელის ლექსები, რომ-
ლებიც ქართული საბრძოლო დიდების ძეგლებისად-
მი – ძველი ციხე-სიმაგრეებისადმი და ციხის მცვე-
ლებისადმი არის მიძღვნილი:



მესმის ყივილი ციხის მცველების,
ჰდრიალა შუბის,
მტვრევის ხმა – ტარის
ყოველ ნაბიჯზე,
 ყოველ ქვასთან,
ყოველ უბანზე.
ასე მგონია, გაიდება წარსულის კარი
და გამოჩნდება ხმალაწვდილი
 მეფე გუბაზი.

ტიციანიგით აწამებს პოეტს „ქართული მზე და
ქართული მიწა“. მამული ჩვენი უკვდავია, რომელიც
ბრწყინავდა ნიკოფსით დარუბანდამდე, თუმცა

...საუკუნეთა მდვრიე ჯარი
მოდგა და მოდგა,
მაგრამ ვერა გზით
 გერ აღგავა
 მიწის პირიდან

ჩემი ამაყი
ჯიქთა ჯიში
და ჩემი მოდგმა!

მამულს თავსდატებილი უბედურებანი, ოთ-
ხმხრივ შემოსეულ მტერთა მომგერიებელ ქართველ
ვაჟაცთა დანთხეული სისხლის ყივილი არ შეიძლე-



ბა ჭმუხნვასა და გმინვას არ ჰგვრიდეს ლირიკულ გმირს, მაგრამ იგი ყოველივე ამას თავს არ უდრებს და ყველაფერს ამარცხებს, რადგან ვაჟა ეგრისელს თვით ღმერთიც კი პოეტად მიაჩნია და მას თავის გვერდით იგულვებს. განა ღმერთმა არ შეჰქმნა ეს წუთისოფელი და ისევე არ მოგვაჩვენებს მას ასე ლამაზად? განა მან არ უბოძა არსებობა პოეტს, მისცა ჩანგი და უბრძანა ეგალობა?

ვაი, რომ მწარე ტკივილს ვერა და ვერ განვირიდეთ. აი, დღევანდელ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილი სტრიქონები:

ზღვის ტაძარში საღამოს თუ დილით,
ზეირთთა ლურჯი გალობები მესმის
და ლოცვად დგას სოხუმი
და გაგრა –
დიაოხთა მწვანე სამანებში,
ზღვა უნდოა, გულში მიკრავს მაგრად,
ცალი ფეხი მიდგას სამარეში.

რარიგ იავარქმნეს და შებილწეს მოსისხლე მტრებმა ღვთისადმი სასოებით აღვლენილ ლოცვასავით სპეტაკი გაგრა და სოხუმი! რამდენი ქართველი ლამაზი ჭაბუკის წმიდათა-წმიდა სისხლი დაიღვარა



იქ! და თითქოს პოეტს დღეს უთქვამს ეს სტრიქონები:

დღეს ეს გალობა, მცირე თუ დიდი
მიიღე ჩემგან
მსხვერპლშეწირვად, მამულო –
ღმერთო.

მრავალჯერ აგვაოხრეს მტრებმა, რადგან „სილამაზე არ აპატიეს“ სამშობლოს ჩვენსას:

...მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი,
მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს –
ვერ ჩაატიეს...

* * *

მრავალმხრივია, უთვალივგანზომილებიანი და მრავალფერია დიდი ერთომეულის – „იქმენ ნათელი“ – თემატიკა, პოეტურ ხედვათა არე და სახეთა სამყარო. მასში მოთავსებული ლექსები, როგორც ფორმით, ისევე შესრულების თავისებურებით წარმოადგენენ თვისობრივად ახალ პოზიას, რომელიც ორგანულადაა დაფუძნებული ქართული ლექსის ტრადიციებზე, ქართველ პოეტთა მრავალსაუკუნოვან შემოქმედებაზე, მაგრამ ნათლად წარმოაჩენენ ნოვატორულ თავისთავადობას. ეს თავისთავადობა შეიმ-



ჩნევა როგორც მშობელი კუთხის – კოდხეთისადმი
მიძღვნილ ლექსებში, ასევე ზღვის თემის ახლებუ-
რად მხატვრულ დამუშავებაში, სატრაფიალო ლირი-
კაში, პოეტის ფილოსოფიურ თე თეოსოფიურ მსოფ-
ლმსედველობაში.

უხვ მხატვრულ ფერებში ხატავს პოეტი ზღვას:

...ზღვა კი პირს იხოკს,
იწერს დალალებს,
მოულოდნელად მომწყვდეული
ქარის მკლავებში.

* * *

...ზღვა გაწვრთნულ ლომიგით
წყნარი და მორჩილი –
ნაპირთან თვლემდა.

* * *

...ზღვა ყალებზე იდგა ფაფარაშლილი
და ცას სათოფედ არ იკარებდა.

ასეთი საილუსტრაციო სტრიქონების ციტირება
წიგნიდან „იქმენ ნათელი“ უსასრულოდ შეიძლება.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თავისთავადი და გა-
მორჩეულია სატრაფიალო ლირიკაც, მასში სიყვარუ-



ლის გრძნობა მხატვრულ სახეებშია წარმოჩენილი. ის სათავეს მაინც ძველ პოეზიაში იდებს, ითვისებს უახლესი ლირიკის ნიუანსებს და ავითარებს მას. გავისხმოთ ნიზამის, აღმოსავლური ლირიკის მზის, შესანიშნავი პოემის „ლეილი და მაჯნუნის“ პროლოგი:

„მე იმ დღეს ვიყავი მდიდარი,
თვით კაიკუბადს ვჯობდი იდბალით.
წარბს არ ვდუშავდი და შენი მზერა
აცისკროვნებდა ჩემს ბედისწერას.
ვითარც უზადო ბედის სარკეში,
ხვედრს ვკითხულობდი მე შენს თვალებში.
ვითარც ფარვანა ოქროსფერ სანთელს,
ვითარც ბულბული. კართან რომ ათეგს,
ოცნების კოშკში ვათენე დამე
ლექსით და მაინც არ მოვიდალე“.

ახლა ვაჟა ეგრისელის ლექსი წავიკითხოთ:

შენ დამეკარგე წუთისოფლის ციცქა ბილიკზე
და აი ახლა,
ცალულელა ირმის ყვირილზე –
გაზაფხულს ჩემობს
შროშანი ორი,
და მთელი ღამე დაგეძებ ჩემო,
გარსკვლავებს შორის.



* * *

დიდი მოქალაქეობრივი ქდერადობით გამოირჩევა ვაჟა ეგრისელის ლექსები, რომლებშიც წინასწარმეტყველურადაა ნათქვამი ის, რისი მოწმენი ჩვენ დღეს ვართ. მეოთხედი საუგუნის წინ დაწერილ ლექსში პოეტი გვაძროთხილებდა, „საავდრო დაგვცერის ლრუბელი, შავით მოსილი, ვით ჭირისუფალიო“ ვაიმ რომ აგვიხდა მგოსნის წინასწარმეტყველება:

შეხედეთ ქაშვეთ, ღვთისმოსავნო!
კედლებზე ქაშვეთის –
ღვთის „წყალობა“ და მადლო მირონის,
ძმათა „დიდება“ და
„პატიება,“
ვითარც ქართველთა „საქმენი საგმირონი,“
ამოტვიფრული არის ტყვიებით.

* * *

...შეხედე! –
ქაშვეთის კედლებზე
ნატყვიარებს,
ყველა ჩემს გულში გავლილი.

ძმამ ძმის სისხლი დაღვარა საქართველოში, ქართველმა უფრო მეტი ქართველი მოკლა, ვიდრე –



მომხდურმა მტერმა და დროა ქართველმა „აჯობოს ეშმაკს“, „შორს არის სამოთხე, გზა ცდუნების, ჭირის და ვარამის.“

სიკეთე და კაცთა შორის –ძმათა შორის სათხოება თუ გვისხნის, ხოლო პოეტი ვალდებულია, რომ „სანთველივით ჩამოქნას ლექსი“ და ჩვენი სულები იმედით გაანათოს. აუცილებელია, რომ ავმაღლდეთ რწმენით და „ძველებურადა, ჩვენებურადა“ როგორც ჩვენს დიდ წინაპრებს სჩვეოდათ, რაინდული სულისკვეთებით ვიცხოვროთ:

აღსდექ!

მტერი რომ განგმირო,
საქართველომ, გმირთა გმირო,
რომ არასდროს დაიგმინოს
აჭარამ და საინგილომ...

* * *

...ახსოვთ გარდასულ საუკუნეებს
შენი სიქველე, თავგანწირვა და შემართება,
თავისუფლებას მოყვარული არწივის თვალი,
და... დღეს სამშობლოვ! რა გემართება,
რამ დაგიხლუნგა ის ბასრი ხმალი!



„უბადლოა ეს ზღვა, ეს ცა, ეს ბაღი ედემის,
„მრავალეამიერი“ და „ოდოია“ და გადამთიელმა რო-
გორ უნდა დაისაკუთროს!

შალვა მჭედლიშვილი
(წიგნიდან – ტრადიციულისა და ხოვატორულის
გაგებისათვის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ქნარი დავითის

მივსდევ წარსულის მზიან ბილიკებს,
ლოცვებში განვლო
ჟამბა რამდენმა,
ქორონიკონებს ვინდა დაითვლის...
და ქართვლის ცაზე კვლავ მელანდება:
„იქსოს კვართი“,
შურდული და
ქნარი დავითის¹.“.

1962

¹ ეს საგნები გამოსახული იყო საქართველოს სახელმწიფო გერბზე

ჩვენი შინაპრეზი

მნათობთა ქოხებში სახლობენ,
ელგის ხმლებს ჭედენ
და, მზე –
მათი გრდემლია,
ცა – საკირეა და კირია.
წვიმა – იმათი ცრემლით,
წვენ ვენატრებით და...
ტირიან.

1959



* * *

ლამაზი ამერ-იმერი
უფალმა ჩვენ გვიწყალობა.
და რომ მიიწევს ზეცისკენ
ლერწია განა ვაზისა,
(ის ლოცვაა და გალობა),
„ა“ – გახდავთ ფარნავაზისა.

1962



დისტიქტი

პაოლო იაშვილს.

გადიგრიალეს უეცრად წლებმა...

საუკუნეთა წყვდიადში
ჩახმა —

მიზეზთ-მიზეზი იმ ტყვიის —

ელვის,
ეს! მას ლექსივით შემართულ ჩახმახს,
პოტმა არა,

ავმა ჟამმა გამოკრა ხელი.



მღვრალთა სასახლეში

შემოსევია ვარდები კუბოს
და ვეღარ ფანტაგს მუსიკა
ვერდის,
ვეღარც ცრემლები –
ნამსხერევი ბროლის.
სასახლის ბაღში ფარფატებს მტრედი,
ვით იაშვილის გასროლილი
– იმ ტყვიის ბოლი.

1964



* * *

სიკვდილ-სიცოცხლის
მიწყივ მფლობელმა,
მსრბოლავ უამს ავხსენ რიღე,
ავშარა
და უდმერთობას ზეცას შევპივი.
თვალცრებმლიანი მიგუყვები მტვრიან
გზა-შარას,
ამ წევთისოფლის
ცოდვა-ბრალით –
ქედდადრეკილი.

1974



ნარიყალასთან

კრწანისის გელზე –
თავდახრილი დგას დამარცხება,
მტკვრის ტალღებში კი,
არაგველთა
ისმის ყიუინა...
ნარიყალასთან,
გელური ხმით,
მწყემსმა –
თათარმა,
ქართლის წარსული,
აგერ,
ახლა, კვლავ შემიშინა.

1978

* * *

ვითარცა ზღვაში დაღუპულთა
სპეტაკი სული –
ლამემ მთოვარის შუქჩე გაფინა –
მოწყენილი და
ფერმკრთალი ნისლი.
ზღვას კი სიგრცეში –
ფასკუნჯიგით უნდა გაფრენა,
და ფრთებს ისწორებს...
უსაზღვროა სურვილი მისი.

1965



მნათობები

ათავთვებულ სიგრცის სიბნელით
საგსე აქვთ მზერა
და ნესტოები,
საკუთარ ცეცხლით
შიშის პერანგს
ისევ იშრობენ.
განთიადისას სიმყუდროვის
ბუდეს ტოვებენ
და მთავრის ჯამში იბერტყავენ
მიწის სიშორეს.

1961



ალგას, პალმას, პიპარისს

ხსოვნის ცაში ბიბინებს
სიყვარულის თავთავი
და აქ რწმენას
შიში აქეს,
იქ მაცილის მიპარვის,
რადგან იგი თაყვანსცემს –
ალგას,
პალმას,
პიპარისს.

1986



პოეზიის აისპერგვები

შენია...

გწამს ლუკმა არამი,
და ქვეყნად არავის
არ შერგებია.

შენი „კოლხური ფსალმუნები“,
(ვითარც ცუნამი).

პოეზიის ოკეანეში მცურავი –
აისბერგებია.

1969



სიბარე

ფიქრის და დაფნის
გვირგვინს ვუწნავდი,
ოცნების კიბით ცამდი ამყავდა
და სიყვარული,
როს უღირსმა
გერ შეგიფერა,
მაშინ კი გულში
აპრილივით
დარდი აყვავდა
და გამოჟონა თმებში სიბერემ.

1979



გადაფრენა

სამხრეთისაკენ მიაქვთ ზაფხული,
უხმობთ სიშორე,
გადარჩენის მიქვთ ოცნება,
(აღარ ქვითქვითებს ყანა მწყერივით).
ფრთებზე იხვევენ თოკებივით მანძილს
ფრთოსნები,
დაცლილ ბუდეებს ჩამოჰყურებს ცა –
მოწყენილი.

1982



* * *

მშობლიური ცის უმაღლესი
მახურავს ჭერი,
ისევ შევყურებ დელვას ბაგშვივით
და ჩახვეული ზღვას – აგვისტო
ისევ ვიხილე.
მზე დასავლეთით გარბის
წითელ ფაფარაშლილი
და სიშორეს და...
სიცხეს ჭიხვინებს.

1968



გურიაში

შვილწართმეული დედების მოთქმა
ისევ ჩაესმის
ანაკლიას
მწველ წარსულიდან...
ხოლო, შორს სადღაც –
კრიმანჭული
ისმის გურული –
მთაში ამავალ ბილიკით –
მიხრილ-მოხრილი,
დელის პირას კი ვევბა კუ –
ტყით დაბურული,
სჩანს მიტოვებულ ციცქა ქოხივით.

1967



ქართლის წარსული

ჟამმა ვერაფრით ვედარ დანისლა
ქართულ მიწაზე ყოფნა, არყოფნით,
ჩემი დიდგორი,

ჩემი კრწანისი,
საარაგვო და ველი მარტყოფის.
შუბლშეჭმუხვნილი.

მტკვარზე კვლავ ტივით,
ქართლის წარსული დაიარება.
კი, დრო მკურნალობს,
მაგრამ მაინც

ვერ ირჩენს ტკივილს
და სტკივა ძველი ნაიარევი.

1964

* * *

წლებმა უდაბურ გზებზე ჭენებით, –
ჩემი სიცოცხლის
დახრეს აღვირი,
მაინც არ წყდება ულმობელი
ბედის ყველრება...
ჟამს მიმწერისას
ბრძოლით დადლილი,
ზღვის სიმარტოვეს მივეკედლები.

1985



შენი სიშორე

სილურჯე წვეთავს –
ია-იების,
და გაზაფხული
იღიმება სველ მიმოზიდან;
სოკოები კი,
მოკლე კაბებს მზეზე იშრობენ...
დავიწყებიდან მწუხრმა –
ქარის კალთით მოზიდა,
შენი წყურვილი,
შენი დარდი,
შენი სიშორე.

1976



ვიქრიანი ღამე

სიმაღლისა და სიგრცის მპყრობელი
მთვარე გადმოდგა ცის გუმბათიდან
და დედამიწა როგორც ფიალა

შუქთა შარბათით

ისევ აავსო...

მერე ვით დევმა მომიქნია, დამემ ტიალმა.
მომიქნია და...

ფიქრებში კვლავ ჩამფლო

ყელამდი.

1961



ბარათაშვილი

მწუხარისფერ ლოცვად ენთო სანთური,
გოდებდა სული –

უვალ გზებზე მოხეტიალე,
რადგან საწუთრომ
ყორნისფერი, ცა დააძალა,
რადგან ცისფერი,
მიმწუხარისას ვერ გაიხსენა.

უკვდავებაში მიმავალმა,
პკლავ ილოცა –
„ვპოვე ტაძარი“,
მერე დაღლილმა მთაწმინდაზე
ჩამოისვენა.

1960



* * *

სამშობლოს მტერი პნელში შეგღისევ!
ვაჟა ეგრისელ!

1990



ზამთრის ღამე

თუმცა ყოველდღე ერთურთს
გშორდებით,
ვითარცა დღე და
ძხე –

საღამოსი,
ჩემს სიყვარულში წუ დაეჭვდები.

ახლა,
მიწა ქი კოპტიაობს
თეთრი სამოსით,
და თავს იწონებს ვარსკვლავების
ოქროს ბეჭდებით.

1979



ნახეთ შავი ზღვა

სადაც ღრუბლების სევდა იქცევა,
იქ ზღვამ დამბადა
თავის ქაფიდან.
ზვირთად მიმოდის –
დაღუპულთა სულების რიგი.
სიკვდილის შემდეგ
სად ვიქნები?
კვლავ ზღვად ვიქცევი,
ნახეთ შავი ზღვა,
და მე ვარ იგი.

1967



ბროჭეულის ხე

კისრისტენით,

ავლავ გარბიან

წლები

და მოხუც პაპას ვით არ უკვირდეს,

რომ გზისპირს დამდგარ

ახალგაზრდა

ბროჭეულის

ხეს

თავის ნაყოფი ჩიბუხივით უჭირავს ხელში

და ცუცხლს

უკიდებს.

1965



მხოლოდ სამშობლო

მხოლოდ სამშობლო...

რწმენა ქართველის

ვეღარ იქნა და

ვეღარ გაპვეთეს,

თუმც მახვილს სცემდნენ...

და კაცის ძემ არ შეიცოდა.

სიკვდილ-სიცოცხლის წიგნს სწავლობდა,

როგორც გაპვეთილს,

ავიწყდებოდა ზოგჯერ სიცოცხლე,

ხოლო სიკვდილი –

კარგად იცოდა.



შაშაჩოვები

ყაფაჩოები –

ჰგვანან ნაკვერჩხლებს,
შოორ წარსულში,
ამირანმა ღმერთს რომ მოსტაცა.

1969



ქართლი

მზის ფიალით გამოწვდილი

ცაა —

როგორც ზიარება

და ვერც ჟამბა,

ვერც ღუდუქმა,

ვერცა ზურნამ,

ძველისძველი იარები,

ვერ იქნა,

ვერ განუკურნა.

1966



ნახე სპანიული

ო, ეს მთვარე დარდიანი,
აი,
ახლა,
რომ თქვას კაცმა,
ფიქრთა ღრუბლით,
კი პგავს მგოსანს,
ის მახვივით ზის
და მარცვლავს –
ვარსკვლავების კრიალოსანს.

1977



გაზაფხულის თოვლი

ქათქათა ფიფქის ასოებით წერს
აგლავ პოემებს:

აი,

ეს მთები გრაგნილებია,
ველ-მინდვრები კი — დაუწერი
თეთრი ფურცლები.
ის მთელი დამე კურდღელივით
მთა-ბარს
მოირბენს,
მზის ძახილზე კი
ღობე-ღობე გაიცერცლება.

1976



ცაში მეგზლვი

ქართული ციდან
წვეთავს მირონი
და ვარსკვლავების ნაკვერჩხალზე
დამე შიშხინებს,

შორეულ ალით –
მშობლიური
ბრწყინავს
ხედები.

ცაში მეგულვი,
მიტომაა ასე ხშირ-ხშირად
მშობელო,
მაღლა რომ ვიხედები

1986



საშპარო სასუფეველი

თვით უპდავება,
სიტყვის გარდა
არაფერშია,
მადლობა უფალს!
რადგან მოხვედი,
სიხაულის და იდუმალი
ცეცხლის მფრქვეველი.
მე აღარ მინდა არც სამოთხე,
არც ჯოჯოხეთი,
მსურს ლექსში კპოვო
საუძუნო სასუფეველი.



გალობრივი გალობრი

ვით მაფშალია, გალობ
 და გალობ
 და შენს გალობას –
 აღსავსეს რწმენით,
 ამ ტიალ ცისქვეშ არავინ უსმენს.
 ის კი არადა,
 ჯვარს რომ გაცვან,
 ვითომცდა წყენით,
 წამსვე მოარბენინებენ –
 ლურსმებს.

1967



დიდი ჭიშნი

იმედის ქვით... და
უზარმაზარ რწმენის
ლოდებით,
ვითარცა მცხეთა, მეც ამიგია
ჩამი სამშობლოს
მომავალი,
აწმყო
წარსული.

ჩემი სიცოცხლე –
დიდი წიგნია –
დღისა და დამის ყდაში ჩასმული.

1968



0სეგ შინაპრეზი

ვერ შეაჩერეს ქამთა დინება,
თუმცა ფარ-შუბი
დიდხანს აელვეს...
მერე დაღლილნი მიეყარნენ
მოსასველებლად.
ქამი კი,
ქამი ისევ მიდის
და მინანაობს...
და... მათი სულის მოსახსენებლად
ცა,
პვლავ უოვალავ
სანთელს ანთებს –
უოველ საღამოს.

1979

შემოდგომის ფე

ტყე უსიერი...

შემოდგომის სხივი

ცახცახა,

ისევ

სიყვითლით დაავადებულ

ფოთლებში

ჩასახლდა.

საღდაც ხმა ისმის...

ღრენა...

კაკანი...

მაგრამ იდუმალ შიშით მოსილი,

არც ნადირი ჩანს,

არც ფრინველი,

არც კაცოაგანი.

1979

କର୍ମଚାରୀ ତଥା ପ୍ରଦାନ

მივსდევთ ქამთა სრბოლას,
გითარც დედას
და მაინც არ ვიციოთ,
ლოცვით სავსე
ცისკენ,
რომ გვახედებს მუდამ,
კაცია თუ ღმერთი,
ქრისტეა თუ ბუდა.


1972



შაშვები

სიმღერით სავსე აქვთ ჩიჩახვი,
ყურს აღარ უგდებენ
ბაღში რომ რტო ტირის,
ტანთ მოსავთ მარადი ღამე და
სიბნელე.
მზის ტოტზე შემსხდარნი
ათასგვარ
მოტივით –
გალობენ სიცოცხლეს.

1984



* * *

მრისხანებს ზეცა...

აიწყვიტა ქარმა

აღვირო

და მაცნეებად გულამდვრეულ

ზვირთებს არიგებს.

ძრწის და ირყევა მთელი პლანეტა.

მივყვები ღელვას...


მადლი უფლას

და არსოგამრიგეს –

მარგუნეს ბედი მოგზაურთა

და მენავეთა

1966



მგზავრობა ჭარსულში

ისმის ყაფანი...

ნინველ ქალწულებს –
მსხვერპლად სწირავენ უგუნურ ღმერთებს.
ვარდი ყვავილობს იერიქონს.

და მზე ქანაანს.
მივალ წარსულში...
არშობილა ჯერ ქრისტე ბეთლემს,
მაინც რა კარგი,
რა ლამაზი,
რა ქვეყანაა.

1968



გაფალსევში

ცა ძირს ეშმაკის ფეხად ჩამოდის,
ბაირამობენ ავსულები
და ალქაჯები.

საცეცხლურივით,
ლამე ელგას
იქნევს და
იქნევს...
მდინარებს კი შეუყვიათ მთების ლაჯებში
თავი,
და წოვენ გეება ჯიქნებს.

1972



* * *

რიდე – მანდილით,
ვითარც მოსე
ვარ შებურვილი,
წუხილს წუხილი კვლავ ემატება.
ჩაქრა იმედის სხივი –
კიანთა,
მაგრამ მწუხერისას,
ღვთაებრივი
შენი ხატება,
ჩემს საუფლოსი შემომზიანდა.



სამეგრელოში

დედიშობილა,
ტიტველ-შიშველი,
სადღაც გარბიან,
სადღაც მიღიან,
დამფრთხალი გზები –
ნაგვაზაოს
და ლესიჭინის.
მზე გარდახდა და
უკვე ბინდია,
გულზე მალამოდ მეფინება
მწერის ჭრიჭინი.

1963



სასაფლაოზე

დაწეტყვილ-დამეხილები,
ისევ დასეტყვა
დამეხა
ლოდები სასაფლაოსი.
სუფევს ქარი და
ქაოსი
და ძირს ჩამოდის
ცა ფეხად.

1976



სიყვარულო

მამულზე ფიქრით დამწვარი გული,
თუ არა შენ ერთს,
სხვას ვისდა მივცე.
თუმცა დღეები ურობ ცეცხლად
ისევ მებურვის.
მოდიხარ სიყვარულო,
მოარღვევ
სივრცეს,
წუხილის რაშე ამხედრებული.

1984



მომაგალი მახშრავს საპნად

ტკიოდა...

ტკიოდა სამშობლო,

ეძებდა წამალს...

და იარა —

შორ გზებზე კიდითი-კიდე,

საწყალმა,

მოხუცმა საბამ.

მეც მტკიგა...

სასოფუმლად —

წარსული მიდევს,

მომავალი მახურავს საბნად.

1966



მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი

მორჩა,

გათავდა,

არრას მოველი,

კითხვის,

ო,

კითხვის ნიშანივით

ჩაფიქრებული,

შემოვრჩი კარგო,

ჩემს დღეთა ბოლოს.

მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი,

როომ მხსომებოდი –

შენ ერთი მხოლოდ.

1986



გოლიაშვილი

განთიადამდე ისევ წერებავებს
ვარსკვლავებს ღამე —

შავი ნაგაზი.

და პონტოს პირას,

კოლხურ ცისქვეშ,

უტეხი —

კოლხი,

მზით დაბძული ვარ

ჟამის ბაგაზე

და ჩემს უგემურ დღეებს კვლავ გცოხნი.

1968



ზაფხულის ღამე

მოგარე გარსკვლავების
ნამსხვრევებზე
გარბის ფეხშიშველა ბიჭივით.
ვეძახი,
არ ესმის,
ყრუ არი.
დამეში თავს იკლავს –
ჭრიჭინი,
ხეებზე –
თავს იხდრჩობს კრუალა.

1974



ზღვა

ცოტა ხნის წინათ
წარიტაცა
ნორჩი სიცოცხლე,
და, აი,
ახლა,
სანაპიროს ისე
ჩაუვლის,
თითქოს არასდროს
ამ ქვეყანაზე,
არ ჩაედინოს დანაშაული.

1976



მოგონება

თქვენს ხსოვნად სდის ხობისწყალი,
უთქვენობა გულს კვლავ სჭვალავს.

და ვარსკვლავი –

ორბის თვალი

კენტად დამზერს პარას ჭალას.

ძეძვი სჭამს თქვენს კარ-მიდამოს,

ჯებე,

ძაბა,

და ივანევ!

თქვენ არ მოკვდით...

სამუდამოდ

ჩემს წიგნებში დაივანეთ.

1985



შეცარი ზამთარი

ნორჩი ხეები –

უცებ დაბერდნენ,

წყაროც სულ დაფავს,

ყვირის:

მიშველე!

ცასა და მიწას ადევს თოვლის

თეთრი ურდული.

კანკალებს ბაღი

ტიტველ-შიშველი.

ბებერი ზამთრის გაძარცული

და გაქურდული.

1972



შამთა ქარები

სევდანარევი,
აღარ მესმის შენი
სიცილი
დედა! –
რამდენი წელი გავიდა –
მზის თაიგულით
და სიცოცხლით დამშვენებული...
მშობელს მოწყვეტილ,
მგლების დამფრთხალ
ქვიშორ პვიცივით
წინ გამიგდეს და მიმარბენენ
ჟამთა ქარები..
და მეც მივრბივარ...
შენ იქ მეგულვი
და შენი ნახვა მიმეჩქარება.

1985

შეაგუ

ა, ის ადგილი —

სადაც ვიჭერდი

შავშავ ღორჯოებს

და ჩურპიტანებს.

და მდორე დელის მღვრიე დინებას,

თურმე სიყრმე და

სიხარული

თან გავატანე.

1959



ვრთხილად

სიპვდილის მღვიმეს

ნუ მიელტვი,

ნურც მის სიშავეს,

სანამ შენი ცის ჭერზე დაკიდულ

მზის დიდ ნათურას გამოთიშავენ.

ძმაო! –

ბუნების დიდო გვირგვინო,

ფრთხილად,

გენუკვი,

ის არ გახლავს

წიფის გვირაბი,

რომ შეხვიდე და...

ისევ მზეზე გამოირბინო.

1973

პირველი თოვლი

თებერვლის მაღალ კარიბჭესთან
აჩქამდა დილა
და სხივებისგან გაბზარული ცა არის –
ბროლი.

პატარა გოგოს წყალი მიაქვს
მეგრული ინჭის...
და პირველყოფილ სისპეტაკედ
ჩამოდის თოვლი,
ვითარც ბუნების
ზეგარდმო ნიჭი.

1963



ხორბა

დამბას კი არა

სიყმაწვილის

ზღავრს გადავედი.

პარას ჭალაში ძეწნებმა კვლავ

მხრები აწურეს,

როს აქ დარჩენილ ბავშვობას ვუხმე.

ხობის წყალი კი

ტანს მიარწევს,

გითარც ქალწული

და კრძალვით აჩენს

ტალღების თეორ

და მადალ მუხლებს.

1962



არაგვზე

გაქაჩული ჰყავთ კლდეებს
არაგვი,
იბდავლებს,
დახედავს
რაწამს მზე.
შავწვერა ღრუბლები იქ ისევ მიდიან,
სადაც გასაშრობას
ბილიკის
ბაწარზე
ქათქათა ფერდობი ჰკიდია.



პიმპრიელები

ქართული ცა და მთა გადმოლახეს
ადრე სკვითებზე

და პეისრებზე...

დაჰკრეს! –

გერ მოჭრეს მყისვე,

ვითარც ტოტი –

იელთა,

თუმც საქართველოს ხელუხლებელ –

ბროლის კისერზე,

დიდხანს ელავდნენ ბასრი ხმლები –

კიმერიელთა.

1984




შემოდგომის დღე

თმაგაპრეჭილ ყანებს ქუდად
თავს ახურავს
ჩალის ზვინებს

და მესს უდებს ცას
ნაღმივით.

მზე, რომ ჩავა,
დღე დაღლილი,
ნაბადივით გაშლის დამეს
და დილამდე
დაიძინებს.

1974



უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ

ერთხელ კი არა,
ჩვენ გვინდა ორჯერ
ყოფნა –
ქვეყნად და მივტიროთ.
უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ
და,
მითუმეტეს სიკვდილი.
პვერს დაგიკრავენ მაღალი მთები,
ჰკითხეთ მტკვარსა და
ფაზისს,
– სამშობლოსათვის როდესაც კვდები,
სიკვდილს მაშინ აქვს
ფასი.

1969

დედამიწა ვარ მე

დღისა და დამის ყავარჯნიანი –

დედამიწა ვარ მე

და მივსდევ მნათობს.

ჩემი სიყვარულია –

მზე,

ასე რომ გათბობთ.

1996



ALLEN.RU

დღეები

სიცოცხლის გელზე გადიქუხებენ,
ხან მეხს ბაძავენ,
ხან მეტეორებს,
წინ ცეცხლი,
უკან კვლავ მეწყერია.
დღეები სდევენ ერთიმეორეს,
მაგრამ ერთმანეთს
ვერ ეწევიან.

1988



შვარტვარო ლოდები

უნდომ,

უდვოლომ,

უგულომ,

ათას ქარში ნარწევმა

ჟამმა,

ისევ წაშალა

ხსონვის ციცქა წარწერა.

ახლაც სადღაც გორაკზე
დედებივით გოდებენ,

საფლავებს დამხობილი, უწარწერო

ლოდები.

1940



କୁଳାଳ

ვარ მონაწილე ბრძოლების –
დიდგორისა და
მარაბდის
და სანამ აღმართს ავივლი,
ვარ და ვიქნები
მარადის
ამოლებული ხმალივით.

1974



ზაფხული ტყეში

გადაიქროლა რემამ ღრუბლების
და ლურჯი მთები
 უცებ გამაღლდნენ,
მზე მოიჩრდილა პატარა ბორცვმა.
აყვავდა სივრცე –
 სხივმოსილი
 და ხე-ტყიანი
და შორით ვისმენ ფოთელების ლოცვანს,
მინდა მხეცებთან სიახლოვე
 და ხეტიალი.

1984



ქსანს და გაგინეოს

ქარი დაძრწოდა, როგორც მსტოვარი
ქვის ტალანებში
გარდასულთა მოსახილველად.
თვალთ მწუხერი ედგა
ლოცვით დაფლილ
ქსანს და ბაგინეოს,
ჩემს სიცოცხლეში მაშინ პირეველად
შევტევდე ალაპს და...
შევაგინე.

1973



* * *

ღამე გამოდის ცის ბუნაგიდან
და მნათობების კოცონს
აჩაღებს.

მთავრე ჰქიდია სიშორეში, ვითარცა
ჯვარცმა,

შემოდგომა კი,
როგორც ყაჩაღი,
დაძრწის ტყე და ტყე
და ხეებს პვლავ,
უღმერთოდ ძარცვავს.

1977



მინდა ლადები

პირქუში სული პატიახშების
ჟამმა ვერ იქნა,
ვერ მოაშუშა.
მათ წმინდა ლანდებს,
აჭა, ფიქრის ხელი
შევახე
და ვით ასპარუგ,
ვითარც არ შუშა,
შემოვიტყუე წიგნში ძევახი.

1967



ნატურმორტი

ცის ლურჯ ლანგარზე დადებული
ნალევა მთვარე –
და მწიფე-მწიფე ვარსკვლავები,
კითარც ატმები,
განგების ხელით დახატული
ეს ნატურმორტი,
ვის არ უხილავს...

ცაჟა –


მნათობებით დახუნძლული
მოტეხა ტოტი,
გამოენისას,
მეხის ქუხილმა.

1966

ମତ୍ରାଙ୍ଗି

ქათქათა ფრთების მარაოთი,
ავლავ უწანავებს
ზღაპარში მძინარ
ათასწლეულებს...
და ზეთისხილის რტოთი ეხება
წარღვნისფერ ნისლში მცურავ
ქვეფენილს,
ანგელოზივით ლამაზფეხება,
შოორ... წარსულიდან გადმოონაფრენი.

1966



03ლ0ს0 ზღვაზე

დილით მოვარდნენ
შმაგი ქარები,
ცაზე ღრუბლები გაფინეს და
ოდნავ გაწურეს.
ზღვა, ვით მიჯნური,
სიცხიანი წევს,
არარაობს.
სანაპირო კი როგორც ქალწული
ეფერება და უნანავებს
ჩრდილთა მარაოს.

1953

დღეები მიაჩვი ქორებს

წელში გაწყვეტილ თელებს,
მეხით —
შებულგამსკდარ
მუხებს —

ცა წვიმით ამრთელებს
და ელვის დოლბანდით უხვევს.
წავა და აღარ მოვა,

დღეები მიაქვთ
ქორებს,
მიმდგარა შემოდგომა
ტყეს —
ფოთლებს უოქროებს.

1958



* * *

თუმც გვიან, მაგრამ
მაინც მოვედი,
მეომარი რომ ათიათას ოქოდ გიღირდა.
წლებმა მომხდური დავიწყების
ბნელში შეგლისეს,
და, აი, ახლა,
ათასეულ წლების მიღმიდან,
გიხმობ!

გეძახი ჯაგუ ეგრისელს!

1957



წევს უზრუნველი

ზღვისა და ქარის აკვის რწევაში,
„დბუია ბონდოსთან“ –

ესმის „ჩაკრულო,“

და ბაგეებზე უდის დედის ძუძუს სურნელი.
ფერად სიზმრებში –

თბილად

ჩაკრული,

ჩემი პავშვობა წევს უზრუნველი.

1981



ცამ გლვის დანით

დღის შესაყრელად ისწრაფვის დამე,
თანდევს მნათობთა ზღვა მაყრიონი,
ფეხისწვერებზე
დგებიან მთები
და ჩანჩქერებმა ხელი ხელს მისცეს,
მაგრამ უეცრად ცამ –
ელვის დანით,
შუაზე გაჭრა დამე და სიგრცე.


1969



* * *

ဒိုတာရင် လှောက်သာ –

ခွဲ့စွဲများ၊
မြတ်စွဲများ၊ ရေမ ဒေါ်
ဝါယာရွှေ့ချေး၊
ထွေး ထွေး ဒေါ်ရေး –
နှေ့များ ပုဂ္ဂန်များ၊
နှေ့များ အော်ချေး၊
နှေ့များ အော်ချေး၊



* * *

გამთენისას მთები თეთრად
ამოთავთავდნენ
სხვა სიხარულით
და გაფიორებით.
ცის უდაბნოში
აი, ახლა
მზე ჟამს არწყელებს...
და მეფერება მოქათქათე ფიტქთა
თითებით
ანგელოზების სისპერაკე
და სიქალწულე.

1968



* * *

ხან დემონი ხარ, ხან ანგელოსი,
ხან უტკბილესი დღეთა ნათება.

ჩემი სიცოცხლე მზით შემოსილი,
შენს შესახვედრად მიემართება.

ფიქრს –

უხილავი მოწვავს სახმილი,
გეძახი ბრძოლის ველზე შესული.
და მოელგარე შენი სახელი
ხელში მიჭირავს ვით ორლესული.

1959



ჩემი ხორბა

დღისით და დამით –
გზისკენ მზირალი –
მეგრული ოდა,
ჭა და ბაღია,
ორიოდ ლექსი,
ორიც ბოკვერი,
– ეს არის ქვეყნად –
რაც მაბაღია.

1977



ცეცხლი

ვიწვით...

ვიწვით... და

ვიწვით...

მაინც ცეცხლის გვაქვს შოში,

რომლისგან –

ვაი!

ვიშით!

ერთდროს ჩვენ ყველა ვიშვით.


1959



* * *

რბეულ ტალღების ურდოს
ედება ფერი
ტვიშის.
ოცნების ქარი ბუდობს –
ზღვის შედედებულ
ტვინში.

1961



* * *

ო, ღმერთო ჩემო! –
სიყვარულის
ისევ მწვავს ლავა,
სულს ისევ მიხნავ ფიქრის გუთანო.
ცოტა მაცალე და...
მე, მერე,
იმ ქვეყნად წავალ,
ჩემს პატარა მტერს –
სიხარული რომ მოვუტანო.

1985



* * *

საუკუნეთა მტვრაინ სივრცეში –

დღეგძი ისევ თეთრად
იცრება.

და ვიდაც კიგის წარსულიდან
ათასმეტვიდედ:

მოვა სხვა შოთა...

სხვა ერეპლე...
გაუა... თამარი...

და როგორც მე,

სიყვარულის
ლამაზ პეშვიდან,
ალოკავს წუხილს... დარდსა და ცრემლს,
გითარც ქვამარილს.

1962

* * *

იასამნების ლურჯი გალობა
მოვარეულ გზებით
სიზმარეთში მიედინება...
შენ კი შორს, ხარ...
ახლოა დრო შიში, და თრთოლვის,
თუმც სიყვარეულის მაღალ ციდან
შენი დუმილი,
ჩემთან ჩამოდის სისპეტაკედ
პირველი თოვლის.

1964



* * *

სამარადისოდ ღელვასა და
შფოთს მიმაჯაჭვე,
რადგანაც ზღვაო,
შემოგბედე მცირე გალობა –
მებადურთა და
მონადირეთა.
მორჩა,
გათავდა!
ალარ ველი შენგან წყალობას,
ვით დამნაშავე –
უნდა ვიდგე
აწ, შენ დირესთან...


1981



* * *

ზეცას სდიოდა სისხლი შვიდფერი –
 მკერდზე ეკიდა ცისარტყელა –
 მკლავი მოჭრილი.
 უპუიყარა ზღვამ როდესაც
 შავი ქოჩორი,
 ქარიშხლისაგან აწერილი
 და აქოჩრილი,
 მაშინ,
 ო, მაშინ,
 ფოთი პგავდა ზღვისპირად მდგარ
 ლამაზ ბოჩოლას.

1963



* * *

განთიადისას რომ აგუგუნდეს,
მზე -

ჩამქრალ ბუხარს -
მთელი ღამე ვარსკვლავები
აჩაღებენ.

1959

პე, პოეტებო

ტრფობის კოცონი რომ ჩაგვიქრია,
დიახ,

ამიტომ შური გვიღრდნის
ჩანგსა და
ებანს.

პე, პოეტებო!

დღეები კი ისე მიჰქრიან,
შპვდავებაზე რომ ვიფიქროთ,
დრო აღარ გვრჩება.

1984



ჩემი ბული

დაიშრიტა...

აწი აღარ შველის,
მღვდელთა წირვა და
ლოცვები მოგვთა –
ეკლესიის და მონასტრის კარად.
საყვარელო!
სიძულვილით არა,
ჩემი გული –
სიყვარულით მოკვდა.

1957



* * *

წარსული უცებ ამომზიანდა:

გაცოცხლდა ყველა,

ვინც მყვარებია...

ოცნებების და

სიყვარულის

თქორი დღეები

წასულან?

— არა!

უბრალოდ თვალს მიგვთარებია...

1966



* * *

შურით,

მტრობით, ხმლით და შუბით,
უკლავდნენ გულს, მზეს და იმედს.
ვერ იტევდა მიწის უბე,
ცრემლის ზღვას და სისხლის წვიმებს.
თურქმა, სპარსმა, ლეკმა, დიდოძ,
მაჰმადმა და მისმა გეშმა,
ჩვენი ცოდვა ზურგზე იდო
და მიჰყიდა სული ეშმაკს. –
ჩვენი სისხლიც სვეს და დვინოც,
მერე...

ყველა ძილად მიწვა.
აწი სვან და იღიღინონ,
დააყოლონ შავი მიწა.

1963

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

გარდასულ დღეებს –
ვეწნები
და მახალისებს
რაოდენ,
როს პარას ლამაზ ჭალაში,
ნაწიავს იწნავდნენ
ძეწნები,
ბროწეულები ყვაოდნენ.

1965



არმაზის ნეპროკოლი

სარკოფაგებში მშვიდად სძინავთ
ათასწლეულებს,
თუმც მოჩახხახე მზე ამოვიდა.
ლოდიდან ლოდზე დაგიწყებად
ხავსი
მიცოცავს
და ცრემლნარევი ხმა მოისმის
აკროპოლიდან:
— „ძევახოს,
ჩემო სიცოცხლევ!“

1972



ტერენტი ბრანელს

ჩემი დღეები როცა შავეთს
 ჩაიშრიტება,
 თავს დამადგება –
 სვეტი ნათლისა,
 ვით ერთადერთი ცისიერი ჭირისუფალი.
 და მის ძახილზე,
 სულ სხვა სევდით,
 სულ სხვა ნაღველით,
 ნალუსკუმარი როგორც უფალი,
 მკვდრეთით აღვდგები
 და ავმაღლდები.

1977



მთანი მაღალი

იდგნენ და დიდხანს ელოდნენ,
ლოდინით სივრცე
დადალეს...
და როს მოქსმათ გუბუნი –
ვაჟას ჩანგის
და ნაღარის,
მაშინ უეცრად ამაღლდნენ
მთანი,
ისედაც მაღალნი.

1977



နေဆာ ဆရာတော်

ဒုသံသံ...

ဒုသံ...

ကာရး ဒာလျော် და ဒူဒေသ၊ ဒါန အရှိ,
နှမဲ့ လွှမှာစီ ဗျာလျော်

မိမိမိ ရေမ နာဇာဂုံး?!

ဒာမြေနှင့် ဒုသံသံ...

မိမိရောင်း

နှမဲ့

မိမိနာရှိ,

ဒုသံသံ ဗျာလျော် မျှော်း ဂာဇာ.

1966



როცა ლოდინით დაღლილ ნაპირთან
გაიწერიალებს გულად ზვირთთა
ძველი მოტივი,

მოვა სადამოც –
ყვითლად მოთხვრილ
მთვარის მოლბერტით
და უზარმაზარ ზღვის ლურჯ ტილოზე –
ცას დაახატავს –
მოყვავილეს –
აგმის ტოტივით.

1982



და ააზგავნეს ციცინათელებს

დამეს დაწერილს –
ვარსკვლავების
ასომთავრულით,
მზე, როცა ჩავა,
ბარათივით მუდამ მიგზავნის,
მაგრამ სიშორით
გაბზარულ გულს
კედარ ამთელებს.
ო, არა უშავს,
ისევ მოვა მწუხრი მაისის
და ააყვავებს ციცინათელებს.

1964



ანდერძი

სიკვდილის წინ –

„იაგნანა“ მიმღერეთ ტკბილი,
სამარადისოდ მშვიდი ძილით რომ
დამეძინოს,
სანამ სიკვდილი მომძებნიდეს ხელის
ფათურით,
სანამ სხეული,

დაღალულ სულს აღარ ემძიმოს,
სიკვდილის წინ –

„იაგნანა“ მიმღერეთ ტკბილი,
სამარადისოთ მშვიდი ძილით რომ
დამეძინოს.

1961



იასამნები

დედა მელოდა და მეძახოდა,
 და გავარღვიე
 სიმარტოვის ჟამის
 სამნები;
 მაისის თხუთმეტს –
 უცებ წასცდა –
 ჩემი სახელი
 და პა, მას შემდეგ იასამნები
 ჩემს დაბადებას – ლურჯად
 და ხან თეთრად ამხელენ.

1965



* * *

მზე უცებ მოჰყვა ზღვის ნანგრევებში,
დელვის ველ-მინდვრებს
გრიგალი ნაღმავს.

დამეულ ცაში –

ვარსკვლავების დგას
„პრიმანჭული“.

ვდგავარ ნაპირთან,

ამივლის და ჩამივლის
ტალღა,

ქაფით ნაკერი – ფეხსაცმელის

ჩუმი ჭრაჭუნით.

1962



დაწი და ზურაბი

ჩემს ქართულ მიწას –
წინაპართა სისხლით
მოზელილს,
რომელიც ახლა,
ზღვისკარად ზის,
გით ფარშევანგი,
მე ჩემი ფიცხი,
თვალსაცერა –
ორი მოზვერი,
ჩემი მამულის სიყვარულში
უკვე შევაძი.

1986



მზის გადასარჩევად

წლები კი არა,
დღეს წყვეტენ
წამები –
ჩვენი ყოფნის და არყოფნის
არჩევანს.

ცა ჭკნება,
ვით ტოტი ძახველის,
დრო არის! –

მზის გადასარჩენად,
„რამეთუ ყოველთა აღიღონ
ძახვილი!“

1988



0 ულიშს პეისარი

სიკვდილის დირე –
ბრძოლით გადავლახე,
ამ წუთისოფელში არავის ვემონე,
უნდო ჟამი კი ბეჭზე დავანარცხე,
და უიმედობა,
ღალატი,
დემონი,
„მიგედი,
ვნახე,
დავამარცხე.“

1972



მასხეთში

ცაში ღრუბლები დათარეშობენ,
არგანის ტყორცნას უფალი კი
ვერაფრით მორჩა,
შორიდან ვუმზერ მოქათქათე მთას –
წვერებიანს.
და ვედარ ვარკვევ,
კლდეზე რომ მოსჩანს,
ხვიარებია თუ ლურსმული
წარწერებია.

1964



„ဗရမ်းလွှု“

ဌာ မောင်လွှုန္တ စာဖျက်န္တ
မတွေ့ရှုတော် လာမဝါး
စိမ့်ပျော်ဖြော်မိုး,
အရွှေ့လွှေ့နှုန္တ ဂိုး၊ မိန္ဒာန
စိမ့်လွှုရာ မျှော်လွှု.

1961



გაღმა ნაკირი

ჩვენი მაშვრალი მამა-პაპანი,
დამით,
სულეთის თეთრ მდინარესთან,
თეთრით მოსილნი,
ფეხაკრეფით ისევ მოდიან.
გამოღმა,
ჩვენთან უნდათ გადმოსვლა,
მაგრამ,
ვერასგზით ვერ გადმოდიან.

1984



* * *

თოვს...

დაწინწელული ველი,

გდია,

ვით ნაჭერი ჩითის.

მარტი ეჭიდება

ხავსხ.

სარზე დასკუპდა,

და ჩიტი,

მოწყენილ სიმღერებს თხზავს.

1959



* * *

ცა წუხდა ღამის ჩამქრალ თვალებზე,
ნაპირს პეშვივით ეპყრა
ცხელი ნაფეხურები.
როცა მუხლებზე დაეცა ზღვა
და აქვითინდა, —
თმაგაწერილი მესმა კოლხი დედის
კივილი,
თურქეთისაკენ
მიმავალი
ლურჯი ზვირთიდან.



პოლიტიკი საღამო

მოხუცი მამა აივანზე ზის
და აბოლებს
და ჰყვება პაპის საგმირო ამბავს:
— ის ოჩოპინტრეს თოკავდაო, გვეი, გიდი!
ტყაფშიმაფასაც ჰყვარობდაო,
ჰქონდაო ნიჭი...
მგლური ნაბიჯით ეპარება
ეზო-კარს ბინდი,
იქვე მინდორზე —
ცხენს აძოვებს
პატარა ბიჭი.



* * *

დამე,

დილამდე,

ვარსკვლავების –

წითელ კრამიტებს,

ყრის მზის ქურაში გამოსაწვავად.

1979



მოვა

დრო უგზო-უპვლოდ მიაჭენებს
სინათლის რაშებს,
მთვარეც ბაძავს და უკან მისდევს
სიბნელის რაშით
და ჩვენ მოკვდავებს ცოტა გვრჩება
გასახარელი.

წევს უდარდელად –
დრო და ჟამის
ამღვრეულ ზღვაში
და ჩვენს სიცოცხლეს კვლავ იცხონის მიწა
ხარისით.

1977



* * *

ცაში ისევ ადის ლოცვად
იქ „ლელეო“,
აქ „ნადური“
და ლურსმულში თვალებს ახელს,
ქართული და აქადური.

1962



ცის შვაგოლები

მარადისობა მარად მე მინდა,
და სიყვარულის
ჩუმი მეფობა,
რადგან მთვლემარე დამეებიდან –
მესმის ძახილი მზის და სინათლის,
რადგან
სიშორის
კენტეროებზე,
მარად ჰყვავიან ცის ყვავილები.

1971



* * *

მთებზე შემდგარო თბილისო,
კვლავ შენ გდარაჯობ...
მეტეხთან, –
მეც ვდგავარ, ვით გორგასალი,
და მტკვარი წელში მოხრილი
მიჭირავს კვლავ
გორდასაგით.

1967



* * *

სიცივეს ცივა...

თეთრი ზამთარი,

თეთრად აბოლებს ჩემს ფიქრს და

ტკივილს.

ჩამოდის მწუხრი სიფრთხილით ჯიქის.

და ყოველ დამით ვიღაცა კივის,

სადღაც ზესკნელში,

გარსპელავებს მიღმა

და მოვარის იქით.



* * *

სანაპიროზე შავით მოსილი

ზის ბნელი დამე

და დასცქერის ქაფის მიმოზებს –
ქვიშაზე დაყრილთ,

ლოდებს სული რომ შეაფრქვიეს
ქარი –

მოცარტი,

ზღვის კეება პიანინოზე,
ომაგაწეწილი უკრავს რეპვიემს.

1965



დამე

ელგას იცინიან ღრუბლები,
რადგანაც მოვარე
უბეში დამალეს.

არც მელა,
არც მაღლი,
„სოფლის მშენებელი“,
არ უხმობს,
და ცისკარს არ ყივის
მამალი,
დამე ბნელია და გაუთენებელი.

1962

ზღვა და ხმელეთი

დგანან,

თვალებში უელავო –

ცეცხლი,

მტვერი

და ქვიშა.

უნდა დაიწყოს დუელი,

ელიან ქარის ნიშანს.

1964



ჩალარჯებია თვალები იას

მოებს ჩაუბდუჯავთ ირმის ნახტომი
და სიმარტოვე დამფოხალ არჩვების.
უფსკრული თოვლით ისინათლებს
დამეულ წყვდიადს.
და გაზაფხულის მოლოდინში
მარტო დარჩენილს,
ჩალურჯებია თვალები იას.

1965



* * *

მზე ოქროს ფრთებს შლის
აღმოსავლეთით
და ჩემს თვალებში
ბუდეს იპეთებს.
მოვიდა ჩემთან
და მეც რწმენის მზესთან მივედი.
მაგრამ სიკვდილი
ჩემს სიცოცხლეს
მაინც აბრტყელებს...
და აქ დარჩენის ცდა და იმდი –
ხელში მიკვდება ჩიტის ბარტყივით.

1962




როიალი

ოქროდ გადმოჰქუხს ჩქერი –
მნათობთა...
შენ დამის მიღმა უცებ იალებ,
მერე მოჰყვები ციურ პანგთა –
უცხო დინებას...

აქ,

ბნელ კუთხეში დგას როიალი
და... იღიმება.

1967



დაჩის

მათ ნათელ ხსოვნას
ღირსეულად
ვერ ვუგალობე,
ვერ ვუგალობე და ვალში დავრჩი,
შენ კი წინაპართა სული არ მიტკინო,
გახსოვდეს მარადჟამს ეს,
შვილო –
დაჩი,
ჩემი სიკვდილის –
სიკვდილო.

1984



* * *

დაკეტილია სიყრმის კარები,
მაგრამ მე ვხედავ
ჩემს სიყმაწვილეს,
კოლოს ნაკბენი,
დაწყლულული უჩანს ტანი და
ძირგაცემილი ქალამნების სველი ჭვინტები.
და ყოველ დამე –
გარსკვლავების ჭუჭრუტანიდან,
ჩემს ბავშვობაში ვიჭვრიტები.

1974



* * *

ნიხლში მცურავი დედამიწის
ბროლის მკლავებზე –
ზღვები მოჩანან ვით ანაცერი.
ელვა გაკრთება ცივ შორეთში როგორც
ნობილე.
და, ცა – მოხუცი,
ნამტირალევ სირცეს
გასცემის,
ცისარტყელას ფერად ტოტზე
გადაყრდნობილი

1966



პირველი მერცხალი

მინდვრებზე –

თოვლ-ჭყაპის ნაკვალევს –

თებერვლის წვიემბი რეცხავენ,

ბუჩქებში

ია ლურჯ თვალებს აფახულებს.

აივანთან კი ჭიპჭიკებს მერცხალი:

– მოვიყვანეო გაზაფხული.

1962



პიკასოს და მოდილიანს

ავა,

ეს მთა,

შუბლშეპრული,

დიდი ზურაბ ერისთავის

ნაღდზე ნაღდი მოდელია.

ზღვა —

ტილოა,

ელის თავის,

პიკასოს და მოდილიანს.

1964



* * *

მიდის ბინული და ბროლის ტანს
მიაწვრიალებს,

დღე

ცისარტყელას ნელ კოცონზე იწვის...
დაიწვა,

და ვედარ აქრობს სევდა ზღვების
დანაგუბები.

დიდ ცისქვეშ კი დაცხრილული
წევს დედამიწა, –

წვერწამახული წვიმის შუბებით.

1984



* * *

„ნანას“ რომ მიმღერს ხობისწყალი
დედაა ჩემი,
უფროსი და კი გახლავთ ფაზისი,
ხოლო დღედაღამ შესახვედრად რომ
მოისწრაფის
და მოლოდინში ასე რომ დელავს
ზღვა –
ჩემი სატრუქი უუნაზესი.

1964



* * *

დამეულ ბაღში დგას შემოდგომა
შიშველ-ტიტველი,
უამური ფიქრის ამშლელი
დიან დღეები და სულს ღაფავენ...
მოვა ზამთარი,
და ქათქათა
თოვლის საშლელით,
წაშლის სიკვდილის ნაწერ საფლავებს.

1966



* * *

შენსკენ მარადებამს
მოვილტვი,
მარადის შენი
უღირსი —
მსურს შენმა გზებმა
დამდალოს,
ოკეანეზე —
უღრმესო,
უგელა მწვერვალზე —
მაღალო.

1957



၃၁၂

ცას მნათობები ისევ კორტნიან
და ცივ სიშორის ტოტებს
არხევენ.
არყოფნის ფიქრი
ჩემს იმედებს
როცა შებინდავს,
მაშინ,
მე მესმის ცრემლნარევი
შენი ძახილი -
მარადიული მდუმარებიდან.

1985



ოფაშ შუპა

მოუწყენია პატარა შუპას,
რადგან იქ ახლა
არავინ დადის,
არც ძმა,
არც მამა,
და აღარც დედა.
და... უცებ გაკრთა ჭიშკართან
ლანდი,
ვინ იყო ნეტავ?

1965



* * *

მეხთატეხა...

დგას ღრუბლების კვამლი,
ცაზე ერთი ვარსკვლავი არ ჰყვავის..
შეცბუნებულს –
ვხედავ სახე უფლის,
რომელსაც სურს ჩამოიხტოს თავი
და უჭირავს ხელში
ელვის ქულფი.

1984



ეპლასიაში

მღვდლებს ჭინკები

აბრაზებენ –

სული რომ აქვთ

გაყიდული.

დევებით კვლავ სავსე არის

ლეგენდების –

დარბაზები

და ზღაპრების –

ცხრაკლიტული.

1974



* * *

გარდასულ დროთა ვარ მოგზაური,
 როგორც კასტელი,
 როგორც შარდენი,
 იმერ-ამერი,
 რა კარგია,
 რა დიდებული,
 და წარსულიდან გადმონადენი
 დიან დღეები –
 სიყვარულით
 ადიდებული.



პოეტის ჩანგი

მესმის ძალუმი მისი გალობა
და მიტომ ასე
მეიმედება.
სიმად გაუბამს მტკვარი,
გოლგა,
მისური,
განგი,
დილის მზესავით –
სივრცეს ედება
და აწ...
მარადის იხმიანებს
პოეტის ჩანგი.

1981

ჯოდო

ჩემს არ ყოფნაში –

დაგსევია წლები – მშიერი

პატარა ბიჭს და...

შენი ხსოვნა დაუკორტნიათ...

და მიმწუხრისას ისევ ისმის

მათი ჟივეივი...

შენი დუმილი –

დედის ცრემლით ისევ ირწყვება...

ოცი წლის მერე მოველ, ძმაო,

და გიკიუნებ:

მსურს გამოვტაცო უღვთო წარსულს

და დავიწყებას.


1965



* * *

შავი ზღვის თვალში
წარსულის სრუტით –
ისევ შემოდის
მეგრელ დედათა გოდებისა და
ცრემლის გემების
ზღვა ქარაგანი, – გრიგალზე სწრაფი,
რომლებიც, მერე
ეფერებიან –
ფერმკრთალი ხსოვნის მწუხარე ნაპირს.

1968



ცა მშობლიური

ცას როს შევხედავ,
 გაიღვიძებს ჩემში
 უფალი,
 და სიხარული მდის ალაზნებად.
 მზე –
 მშობლიური ისე მათბობს,
 როგორც მათბობდა.
 დამის უღრანში,
 ვითარც ადრე,
 მიიზლაზნება
 ქედებზე სანთლებ დანთებული –
 ჯოგი მნათობთა.

1974



* * *

უცებ დაიმსხვრა ჩემი ბომონი...

დაფარული თუ

წყვდიადისგან,

დაუფარავი,

მოოქროვილი

და მოზარნიშო –

(ამ ცისქეშეთში არ ჩანს

არავინ)

– ის დღე მანიშნოს.

1974



* * *

მდერი თუ ტირი,
 ჩანგს ახმიანებ,
 ქარში თუ თოვლში
 დგახარ ისევ მკერდგაღელილი.
 გულიც მარტოა...
 თვალბედითებს ვუთხრათ არეული!
 აჸა, კისერი!
 ტანჯვის უდელი
 დამადგი,
 მზად ვარ, მო, სიყვარულო!

1958



* * *

თვალებს გაახელს დრო –
გარდასული:
დარდობს სიყვარულს
აიეტის ტურფა ასული,
ფაზისის პირას უცხო ლანდთა
ისმის ჩურჩული.
და იქვე ახლო მარცხენათი
ფარჩაბლუჯული,
ხოლო მარჯვენით შუბს დაყრდნობილი,
ნაბრძოლი კოლხი თვლემს –
პეკატეს მაღალ ტაძართან.

1984

* * *

ლადო გუდიაშვილს

თვით მაცხოვარი ტიტველ-შიშველი
შენი ფუნჯით და მოკვდავების
ლოცვის შემოსე,
და შენ თუ არა...
ფერთა ზეცას ვინ გააღებდა,
და აი, ახლაც,
მამა-ლმერთი
და ანგელოსი
ისევ მოგელის ქაშუეთის
ტაძრის თაღებთან.

1977



მეცნ მრეპლე

როგორც მეტეხი,
მტკვარს დაგყურებ
დამწუხერებული,
და მტკვრიდან ღამის ვჭვრეტ ანარეპლებს:
კრწანისის ველზე
მოწყენილი დადის ერეპლე
(სიკვდილის რაშებს გმირები არ
დააგელვებენ).

და სცივა მეფეს...

თუმც ანთია...

იქვე სული
არაგველების,



* * *

სადღაც იელვა...

და ქარიშხალმა

გადაუფრინა დელვას

ქორივით

და დაედევნა ბნელში უხილავს.

ნაპირს მოაწყდნენ...

და წიოკი ისმის

ტალღების,

ზღვა იფოფრება დედა-კრუხივით.

1961



* * *

აქ ყველაფერი თავისას ითხოვს,
სიცოცხლეს ითხოვს
სიკვდილის შიში,
მსხვერპლს –
ცივ ლულიდან ნატყორცნი ჭურვი,
სიმაღლეს –
ჩემი ქართული ჯიში...
პური შია და,
გუჭი ისევ უხმება
შიმშილს,
წყალი სწყურია ხახამშრალ წყურვილს.
აქ ყველაფერი თავისას ითხოვს.

1959



* * *

თავდავიწყების ბრუნავს ქაოსი,
 ედვრება ქაღალდს
 შთაგონების სისხლი
 წვეთ-წვეთად
 და ცისკრის ზარზე,
 აი ახლა,
 ღმერთმა თუ კაცმა,
 ჩემი მტანჯველი სიხარულის ბრძანა
 შეწყვეტა,
 ეს მხოლოდ წამით,
 კვლავ მოველი ცეცხლსა და
 ჯვარცმას.

1970



* * *

ცა თავს გვაწონებს ვარსკვლავების
ოქროს ბეჭდებით,
გაპროტება ელვა და იღუმალი
ისმის ჩურჩული:
სად ხარ, უფალო!
შენ შემოგტირის ცისქვეშეთში
ბაგე მდუმარი,
ყოფნა-არყოფნა,
გზა-უგზო და
კვალი-უკვალო.

1961



სახლობს უფალი

ღმერთმა თავისი სული ჩაუდგა,
ფრენა ასწავლა....
და დაარიგა,
რომ ეგალობა,
ყოფილიყო თავისუფალი....
და პა,
მას შემდეგ,
ზოგან მდიდრად,
ზოგან დარიბად,
ყველა მგოსანში სახლობს უფალი.

1969



* * *

ცრემლის წვიმად და
სისხლის მდინარედ
მიედინება ქართლში წარსული
და მტკვარი მოჩანს,
როგორც იარა.
ოურქნი,
არაბნი,
შაოსანი გზებით მიღიან.
აი, ეს მთები,
მთები კი არა,
ცოდვაა...
და მათ ზურზე ჰკიდიათ.

1968



* * *

თქვენს შესახვედრად
 მოვისწრაფი
 დღიდან გაჩენის,
 თქვენს მაღალ სიოგნას
 ლეგენდებში
 ბევრჯერ შეგუვლი,
 დაუვიწყარნო,
 დავიწყებად არ მემეტებით.
 და ღრუბელივით გზადაბნეული,
 გარდასულ დროთა
 მღვრიე ცაში დაგეხტები.

1959




* * *

ნაოჭებია თუ ფიქრების ნაკადულები,
მოხუცის შუბლზე რომ გადარბიან;
ომის ღმერთები ღრეობენ და...

ვეღარ თვრებიან.

ვისი ოცნებაც ომმა მოკლა
და დაარბია,
იმედის ბჯუტავ ნაკვერჩხალს კვლავ
მიფიცხებია.

1964



* * *

მოველ...

დავფრინავ ჩემს მამულში
როგორც გავაზი,
შარბათთან ერთად შხამიც შევსვი
ლვთისგან მოწვდილი
და ახლა ჩემი სიცოცხლე და ჩემი
სიკვდილი,
ალბათ იქნება ისე კარგი,
ისე ლამაზი,
როგორც დღისა და დამის ქორწილი.

1967



* * *

შორს...

ჩემი რწმენის ცაში მიძღვდარი,
ბედისწერა თუ ღმერთი ფარული,
მის მონა-მორჩილს –

მარად მწყალობდა.
დიდი ხნის მერე,
ჩრდილში მდგარი
თუ მოარული
წარსული,
ჩემში სიხარულად ამოწყაროვდა.

1965



წასულა ქველა

ცის ცხელ ქურაში გამომწვარი
ორი აგურით —
დღითა და დამით —
მნაყეს დას მჯეკენს
წლებმა...
და ჟამი ჩემს სიცოცხლეს
ბინდისფრად ბელავს...
ვეძახი: ოომა!
სოლომონ!
ჯებ!

ხმა არსაიდან... წასულან ყველა...

1959

* * *

ტალღებს აღვიძებს აფრის ტკაცუნი
და ზღვა ასაფრენ ყანჩასავით
ისევ წრიალებს...
და, ვით მარცვალი ღვარძლის და იფქლის,
სიბნელე ფრთებით
დააქვთ დამურებს,
დუმილის მძიმე ფეხის ხმაზე ირხევა ფიქრი,
ვითარც ლერწამი სასალამურე.

1967



၁၀၁

წუხელის ღამეს ელვის თითები
ოვალთან ვერა და
ვედარ მიპქონდა,
ტყის სიჩუმეში მგლების ლანდებს
რქენდა იმედა.
და მერე გვიან, სადღაც დასავლით,
ბნელით დახურულ
დამის მღვიმედან —
სხივთა წიგწივით გამოცოცდა
ერთი ვარსკვლავი.

1968

* * *

ქარის მსუბუქ ფრთებს გადაჲყვება
დამის ზმანება,

ფიქრთა ბურუსი –
მოოქროვილ სივრცეს
შებინდავს.

ფერმკრთალი დილა, მზის ვარდისფერ
ყელს მოიღერებს,
მერე ადსავლით გადმოდგება
მაღალ მთებიდან
და დიდ სინათლეს ამოიმდერებს.

1971



განთიაზი

ცეცხლში შთაინოქა
ღამის ტაძარი,
მაგრამ დრუბლებმა
ცის თაღები
მაღლა აღმართეს
და სივრცის ძახილს
ელვა უწოდეს.
ნაპირს მომდგარი ზღვა ლოცულობს
და მზეს აღმერთებს
და მსხვერპლად სწირავს
ზვირთებს –
უცოდველს.

1969



რომ არ ჩათვლიმოს

მგოსნის ფიქრივით —
აღარ ისვენებ,
შენ ქარიშხალის სულო,
გრძნეულო,
ცის ვარსკვლავებო,
ბაგშვობაში ბევჯერ დათვლილო. —
ზღვას სურს, წამით რომ
თვალი მიღულოს,
მაგრამ თოლია ფრთას გაჰკრავს კვლავ,
რომ არ ჩათვლიმოს.



* * *

შენი სიცოცხლის სანაპიროზე
არდაბერების პყვავის
სოსნები,
ზღვა და ღელვაა მარადისი შენი¹
მხლებელი.
თუმც წახდა უამი...
მაგრამ მაინც
პატიოსნება –
შენს სულში კვლავ დევს
ხელუხლებელი.

1964



არ გაგახსენებ

წუხდა დაჭრილი სიყვარული –
შავი ავაზა,
შხამსა და დვარცოფს ანთხევდა შური.
ცნობისწადილი
ცხვირით ჰგავდა
თვით ბურატინოს.
რაც იყო,
იყო...
მე არაფერს არ გაგახსენებ,
ნაიარევი სული უცებ
რომ არ გატკინო.

1960



სიმართლე

გზივარ ზღვისკარად...

ბრწყინავს ღამის

ვება ჭერი

და მთვარის მიღმა

მირიადი წელი მიშხუის.

ტალღები ნაპირს

სიმყუდროვის სამოსს

აცმევენ.

არავინ არ ჩანს, იყოს ლეკი,

თუნდ იყოს დლიღვი,

ეს სულ ერთია...

მხოლოდ ახალ ხმის გამცემი

მე წამლად მიღირს.


1964



* * *

აქ, ამ ყურესთან –
მოისმოდა ტყის სიმფონია
და აკვანივით ირწეოდა
მუხის ნაფოტი
და ხომალდივით ნაპირისკენ
მოისწრაფოდა,
„ხორცი არს ჩემი“ –
აქ ამ ყურესთან –
ტყის ხმა ისმოდა იმ ნაფოტიდან...
და დამწუხერებულ ზღვას დაყურებდა
ფერმერთალი მთვარე ვით აფროდიტა.

1959



ქორწილი

I

ცეკვაგს ქორწილი
 და მღერიან კვლავ გიტარები,
 სარკესთან დგას და თაგს იწონებს
 ჩუმად მზითევი...

ათას სიხარულს, ათას სევდას დაატარებენ, —
 ფერმპრთალ დედოფლის
 თეორი თითები.

II

იძინებს დამე,
 ძილი მაინც სიფხიზლეს ეძებს,
 თრთის და კანკალებს სიმყუდროვის
 ლურჯი კარავი
 და სიყვარულის თეორ სარეცელზე
 წევს... და წუხს თოვლი გაუკვალავი.

1957

* * *

სიცოცხლე –

სადგური ლამაზი,
აღსავსე იმედით,
მზითა და ლოდინით...

აღსავსე ცრემლებით, შიშით და ზარებით...
აქა-იქ ძეგლები,

ჯვრები და ლოდები –
ეამისგან უღმერთოდ
წაშლილი გვარები.

სიცოცხლე –

სადგური ლამაზი.

1957



და მე მომასმა...

მუსაფრობას და ზღვის დუმილს
გადაგუფრინეთ,
დამე ჩვენს რწმენას
დიდხანს ანჯლრევდა;
გურიის მთებში გაკრთა ელვა,
ვითარც ფიჩორი,
და მომესმა
სიმარტოვის
დია ფანჯრებთან
ფრთების ფათქუნი შენი სიშორის.

1972



* * *

იმედის ქოხში ვზივარ

ექლი,

დარდის და სევდის

მმოსავს თალხები

და შენს ლოდინში დღე და ღამე

ისევ იცვლება.

იჩქარე! –

თუკი მომეახლები

და ლერწმის ლერით მომეცისკრები.


1967



* * *

დღეებს ისევ სურთ ჩვენი შეხვედრა
 და სიხარულის ყვავილებით
 ისევ ირთვება,
 თუმც სიყვარულის წლები გავიდა.
 ვედარ იქნა და...
 მოგონების ლურჯი ზვირთები,
 ვერ ამოვხაპე ხსოვნის ნავიდან.

1983



* * *

თუმცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
კბილი მომკვეთა წუთისოფლის
მწარე ნაყოფმა
და ცა ოცნების,
ო, რარიგად დაცარიელდა.
და ვით მოცარტი და სალიერი
პვლავ დგას პირისპირ –
ყოფნა-არყოფნა.

1964



თავდაპირება

დღე ერთია და...

ათვერ მეწვევა

ჩემი ერთგული თავდავიწყება,

მაშინ დელვის გზით გარბის სიმშვიდე
და სული,

როგორც სვეტი -

ՅԵՐԱՎՈՐ,

რწმენის ნათელზე გასაკრავად ელის
იდეალს.

და არვინ უწევის,

რომ დღე ყოველი

ჩემთვის...

ო, ჩემთვის ბეჭვის ხიდია!

1961

შარაიასთან

მოულოდნელად მოკლულ სიყვარულს –
ყარაიასთან
სარ-ირემი ისევ გაჲყვირის,
ისიც ჩემსავით დამეს ათენებს.
და წუხს მაისი, –
ყვავილების
მტვერგადაყრილი,
პაერს სურნელი უდის გამდნარ
თაფლის სანთელის.



ციცინათელები

თვალებს არ ახელს ზეცის თავანი,
სველ ღრუბლებს
ელვის თოკზე
გაფენილს,
იდუმალ არხევს შორეული
ხმები —
ქუხილის
და სიბნელეში წყვეტილი და
მომწვანო შუქით
ითხოვს ნებართვას დაბლა
დაფრენის,
ციცინათელების ესკადრილია.

1959



ჩემი მიზანი

მზიოთ გადახურულ,
ლაქვარდოვან ცაზე – ოცნების,
კვლავ ციმციმებენ ჩემი მიზნები
და ვით მნათობთა მწვანე ქოხები
დგანან სინათლის კენჭეროვებზე
და კვლავ, სიშორის – სიახლოვით
გულს იოხებენ.

1962



* * *

საუკუნეთა მღვრიე ქარაგანს,
მზის კომბლით ხელში
მოუდლელი ჟამი
მოდენის.
ვეფხის ოვალებშიო იელვარებს
ფიქრი –
რუსთველის...
ქვაში სიმღერად იგუგუნებს
სული –
როდენის...
მაინც ლოდინი...

1970



ნუ ბააღვიმებთ

ომის რაშების ისმის ჭიხვინი,
ხელი ვუტაცოთ
დარდით დახრულ
ცეცხლის აღვირზე,
რომ ცა ბრწყინავდეს სიხარულის
ნათელ ბრუნვაში.
სამარადისოდ ნუ გააღვიძებთ
სიკვდილს, რომელსაც
ჩუმად სძინავს
თოფის ლულაში.

1959



ქადები

ფირალებივით თავწაკრულ ქედებს –
 დაცხათ,
 მოიძვრეს თოვლის თეთრი
 ყაბალახები
 და ცას უმზერენ,
 სიცხითა და დგომით
 დაღლილნი,
 მე მათ დაშრეტილ თვალებს ჩავცქარი...
 იქვე უფსკრულთან გადმომდგარ მთას
 ნარბენ ძაღლივით
 გადმოუგდია ენა –
 ჩანჩქერის.

1965



* * *

შემოდგომაა...

შეაცოცა ცის ტოტებს მწუხერი,

მზემ მიიხურა ვარდისფრად კარი.

მე კი უულევთან

ზღვის – ძე და მოდგმა –

ვზივარ და ვუსმენ:

შავ წარსულის

ნაპირთან მდგარი

შვილწართმეული –

კოლხი დედის

კივილს და მოთქმას.

1963



ახალი მთვარე

კანკალებს ელგა....

და ზესკნელიდან

ისმის მნათობის შორი ძახილი...

ღრუბელთა თმები ჩამოშლია -

ამორძალივით

და სიჩუმეში წევს და ახველებს

დამეს,

მთვარე რომ გახირვია ყელში ძვალივით.

1979



* * *

ვტეხე საჭრეთლით...
ვხატე გუაშით, —
ფაფარაშილილი წუთისოფელი,
მაგრამ...
მცირეთა ხვედრი ყოფილა —
დღისა და დამის
უთავბოლო
წვა და ბრუნვაში,
ჟამის კიდეზე საკუთარი
სარკმლის გამოჭრა.

1970



* * *

მოდი!

გამტყორცნე

და გადამკარგე,

ანდა მარადეამს

აქ დამასახლე,

გესმას ბუხუნი ჩემი –

ლომური;

სანამ მთლიანად მოერდვევა

ჟამთა სასახლეს,

ჩემი დღვების

ციცქა გომური.

1966



* * *

ჩაუბდუჯავთ ბილიკები ხელში

შუბივით

და წარსულად დამდგარან მთები
ყელგამოლადრულ ომებიდან მოისმის ქშენა,
ბრძოლებით დაღლილ მიდიელთა

და ქალდაველთა.

და ჩამონგრუელ ციხის კედელთან –
ვით მეციხოვნე თველემს დაღვრილი –
სისხლი და რწმენა.

1964



* * *

ჩვენი ბავშვობის შუკებს გამოჰყევ
 ფეხშიშველი და
 კოდოს ნაკბენ
 მაღალ წვივებით
 და დამელოდე, ვითარც მაშინ...
 ჯებქს ბოგირთან;
 მე მოვალ შენთან...
 და ზაფხულის ხშირი
 წვიმებით, —
 ცისარტყელის ჩამოტეხილ ტოტებს
 მოგიტან.

1961



* * *

დღეები ბაქავენ წეროებს –
მწკრივებად მიფრენენ...
ფიქრის ცა იმდვრევა
ბავშვობის შორეულ კუნძულთან.
და შენზე ოცნება...
და შენზე სიმდერა
შემინდე! –
თუ ადრე მოვწყვიტე
ძუძუდან.

1972



შიგნი „ამაღლება“

მხოლოდ წუხილი...

მხოლოდ დარდი, სხვა არაფერი,

ჩემმა გამჩენმა,

მოსვლის დღიდან,

რაც მიწყალობა.

და... მარტო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ

ვით ეფემერა,

ჩემთან მოვიდა ჩუმი გალობით

ბედნიერება და...

მომეფერა.



ვოთი

შავი ზღვის პირას –
ავლავ დგანან ბორცვები,
ვით აკადემიის
ძველი კათედრები.
ზღვაში წევს ურიცხვი მტერი
და მოყვარე
და ვითარც იმათი დარდი
და ვედრება –
ქარებმა ნაპირთან ტალღები
მოყარეს.

1968



შენ საქართველოს გადგას უზელი

შემოიჭირე სიყვარულის აპეურები,
შენც საქართველოს
უღელი გადგას,
როგორც ტიციანს,
როგორც პაოლოს
და ზლვად დაძრწისარ,
მიწაზე რადგან –
საშველს კერა და
კედარ პოულობ.

1962



ყალამდე ომში ბმინავს ჭარსული

საუკუნეთა უმძიმესი საფეხურბით
ავალ გუმბათზე
და საქართველოს

წარსულში ისევ გადავიხედავ:
ყელამდე ომში გმინავს –
წარსული.

და შორით ვისმენ –
მეციხოვნის ძახილს
ციხიდან,
ვითარცა მეფე ლაშქრად –
გასული.

1962



ဖို့နေ့မှတ်များ

ပို့နေ့မှတ်များ –

တွေ့ဆုံး ဖွံ့ဖြိုးခြင်း

နားလာရေး

ရွှေ မြေ ရွှေဖြောက် စံသူ,

ဦးစွဲ၊

ဒါန ရှိနာအရေး ရွှေဖြောက်

ရွှေဖြောက် ရွှေနာမ်...

ရွှေဖြောက် ရွှေနာမ် ရွှေ မြေ မြေ

ပွဲပွဲ ဦးစွဲ၊

ရွှေနာမ် ရွှေနာမ်၊

ရွှေနာမ် ရွှေနာမ် ရွှေ မြေ မြေ


1972



* * *

ვით მეგობარი და ახლობელი
მზე ხელს ჩამავლებს
და შემიყვანს
წევარამ ღამეში,
როს წუთისოფელს დარდი დაბინდავს.
უთენია კი, კვლავ ამოვა
და ამომიყვანს
ფიქრით გამურულ დამის ქვაბიდან.

1965



* * *

როცა ქარები –

სიმყუდროვის ჯაჭვებს გაწყვეტენ,

მაშინ ღრუბლები ელვის სატევრებს

იშიშვლებენ და ჰგანან მეომრებს.

მერე დაღლილნი, მთვარის შუქზე
პერანგს იშრობენ.

ზღვა კი ტალღებში მიმახსოვრებს
და მიმეორებს

და ესიზმრება –

მოწყენილი ჩემი სიშორე.

1964



* * *

გათენდა...

ფანჯრებს ცა ჩაედგათ
ჩამქრალ გუგებში.

სანაპიროზე ქრიან ქარები
და ღრუბლებს ტალღებს არ აკარებენ.
მზის სამხრიანი –

დღეს აცვია თეთრი მუნდირი.
ვითარცა ლომი, დასავლეთის დია კარგბთან
შავი ზღვა წევს და...

მიწას ურტყამს რიონს –
კუდივით.

1961



ო, ალბათ, მაშინ...

კოლხურ ღამეში,
წარსულიდან
მოისმის კვნეა,
და პონტო უფრო უმატებს ღელგას,
თითქოსდა იგი
იმ შორეულ სევდას
უცდიდა...
ო, ალბათ, მაშინ, ტყუპის ცალი –
„ბატა“ და „ჩელა“
შობა ჩონგურმა ცივ ფიცხაში
თავის მუცლიდან.

1956

* * *

ფაზისის პირას, —
გაზრდილს კოლხეთში,
ისევ მაცვია
ქარიშხალის ლურჯი პერანგი
და ფრიდონივით ვარ უშქარი
ზღვათა მფლობელი,
მაგრამ...
ვინ იცის, სად მივერაგებს
დელვა სასტიკი და ულმობელი.

1989



მცხეთასთან

საუკუნეებს რეკავს სამრეკლო

და ახლო იწევს

ცივი შორეთი —

ომით...

ყიფინით..

ციხე-პოშტოა

ბროლის სვეტებით.

და მე მცხეთასთან —

მიღმა სამი ათასწლეულის,

წარმართთა გზებით დავეხეტები.

და მესმის ლოცვა...

მესმის ოხვრა

და საუბარი,

სადღაც, სულ ახლოს,

ქართლის ცისქვეშ

მდგარი თუბალის.

1964

* * *

ჭიშკართან დამდგარ ნოემბრის ღამეს,
მოვარე ეკიდა,
კით სატევარი.

და ყველა ფოთოლს
გულზე ეხატა –
შემოდგომის დაძარდვული
ხელი მტევანი.

1976



აფხაზი

აქა, ასოცი წელი გავიდა,
სიცოცხლესა და აფხაზ ბერიკაცს,
ერთმანეთი რომ პყავთ ჩაბდუჯული.
ისმის მუქარა...
და კედრება...
ისმის ჩურჩული...
არ ჩანს სიკვდილი ბრმა და ურჯულო,
რომ ხელი სტაცის
და გააშველოს.

1961



შვარსპლავო ღამე

საუკუნეთა, თუ მტვრად ქცეულ
ათასწლეულთა –
გადაფიწყების
მძიმე მტვერით დაუფარავი –
სხედან ხსოვნაში წინაპრები –
ჩვენი ძველები,
და შორით მოსხანს უვარსკვლავო
დამე – წევარამი –
ჩვენი ნათელი დღის გაგრძელება.

1966



ჯორდანო ბრუნო

როცა სთქვა: „ბრუნაგს“,
მოკვდავს უფლის ეცვა
სამოსი,
ხმები სიმართლის განრა ხმებიან!
რომ მოესმინათ „წმინდა მამებს“,
ჰქონდათ ნამუსი?
ცეცხლში ისროლეს...
სახელს ჭმუნვა არ შეხებია.
და... ის დაიწვა –
საკუთარი რწმენის
კოცონში.

1967



* * *

მესიზმრება: დამე მიკოცნიდა
მწუხარ ბაგეებს,
და ქარიშხალი –
ზღვის ცივ ფსკერზე მიგებდა ლოგინს.
ზარს მომკიოდა ციცქნა გოგო –
„სახელად ემა“.
თავზე სიბნელეს დამბდაოდა
დრუბლების ჯოგი,
გულზე ჭიხვინით ფლოქებს მცემდა
ტალღების რემა.

1965



შავი ზღვა

ჩამოივლიან გრიგალები
და კითხულობენ
მის სიდიადეს და წლოვანებას,
მას მოებზე უდევს მდინარეთა გამხდარი
კუდი,
და... დასავლეთით –
ეამთა ბებერ ლერწმოვანებში –
შავი ზღაპ ბუდობს.

1959



* * *

დამეა ფიქრში...
მხოლოდ ქამი-ქამ
უზენაესის უწმინდესი ცეცხლი
იელვებს
კანკალებენ და ძრწიან ბინდები,
ისევ ტყვედ ვყვევარ
სიბნელეს და
სიცარიელეს,
მოდი! –
მიშველე!
და აენთვ, თუ აინთები.

1971

მგრივთა

სფინქსივით თვლემენ უდაბნოები
 ცხელ ქვიშაში და
 კვლავ დარდობენ ჩამქრალ მირაჟებს.
 შუბთა შუილი თითქოს ისევ
 ესმით სკვითების
 და კანკალებენ...
 კანკალებენ პირამიდები.
 თეთრი ნილოსი ომით დაღლილ
 შავ წარსულიდან, –
 მამელუკების მღვრიე ხსოვნად
 მოედინება.

1976



გოლიცია

შენს ნაფეხურებს –
მწევარივით მისდევს ლეგენდა
და გრძნეულ გზაზე იებივით –
ჰყვავის მითები...
მწამდა აქ იყავ...
მე ზღაპარში მაინც გეძებდი.
რა მოგიყვანა, კოლხო! –
პონტოს სანაპიროზე
თქმულებებით და ოქროს ვერძებით?!


1960



* * *

პიტალო ქვაა წუთისოფელი,
სიმღერით ვკოდავ
და მეც ვებრძვი,
ვითარც როდენი.
მიჰქრის დდები...
დაისებიც სწრაფად
ივლიან...
განსურლდა დელვა და მოლოდინი,
მორჩა იმედი,
დაშრა რწმენა
და მიილია.

1976



* * *

წარმართებივით უცხო გალობით,
შიშის ჩარაზულ
კარებს აღებენ,
მოჰყვებათ ჯარი მედუზების,
ვით მესაკრავის,
და ლონემისდილ ზღვას
უგულო, —
მისი ტალღები,
ვითარც იესოს, ქარიშხლის ცივ
ჯვარზე აკრავენ.

1966

გვლავ

მზე —

დედისერთა ბიჭია თითქოს,

არვის იკარებს —

გარბის...

ჭპუა ვეღარ ასწავლეს...

დასალიერთან, —

გვლავ წამოკრა ფეხი

საღამოს,

გვლავ სხივთა სისხლით შეეღება

სახე დასავლეთს.

1979



პომავის ხიდი

მღვრიეა ზვირთი,
გითარც ჩემი ქართლის წარსული
და ისევ მიდის...
საუკუნეთა ქარავანმა გადაიარა,
მაინც ჩანს ხიდი,
რომელიც პომპეუსს,
მტკვარზე კი არა,
წარსულსა და აწმყოს შეა რომ გაუდვია.

1963



სამყარო

შვიდი მილიარდი –
გული გიცემს
ძკერდში –
სამყაროგ! –
მე და შენ გვიყვარს
ერთმანეთი,
თუმც რამდენ ქარიშხალს
ჩვენ შორის
ჩაუგლია...
მაგრამ მზის ამოსვლა კვლავ
მთელი პლანეტის –
ნათლით შემოსილი დღესასწაულია.

1969



გახეთი

დახლართულია ქვევრთა ფესვებით...
მღვრიე წარსულს და
მოკამპამე
დვინოს ჩახედეთ, –
როგორ ციმციმებს ეს დალოცვილი.
მზის დიდ სარკეში იყურება
ჩემი კახეთი, –
ვაზებით სახეგადაკოცნილი.

1985



ომპაშს ფოლადი

დაციმციმებდა მზე –
სიცოცხლის შარავანდედად,
თუმც ჟამთა ცეცხლში დიდხანს
ბოლავდა,
და ფენიქსივით მერე მაინც
აღდგა ნაცრიდან;
ათასწლეულის, ბარე ორის,
მაღალ ტაძრიდან –
ქართული სიტყვის –
რეკავს ფოლადი.

1966



თოვლი

ქართულის ველებზე თოვლი
გათენდა,
შებლშეწმუხვნილმა ცამ
იგრძნო შვება,
და ცისქვეშეთში მეფობს თეთრი
კრძალვა და კდება.
მე ბილიკების
ქამანდს ვტყორცნი
და ჩემი მთები,
ჭიხვინებს, როგორც დამფრთხალი რემა.

1967



ჩემო ქართულო

მომიახლოვდი, ჩემო ქართულო,
მე შენი ვალი –
მხრებზე მაწევს
განაჩენივით,
შენ მომიტეხე უკვდავების
ძირ-მწარე ყუა.
და ვხედავ,
ახლა,
მნათობივით
ვარ გარჩენილი,
მქროლავი ჟამის და სივრცის შუა.

1973



სამოთხე

მზედ რომ ავგარდე მამადვითზე –
მომავლის ჟინი,
ვითარც იაშვილს;
რადგან დღე და დამ –
იდუმალი
ხმათა ფარჩებით,
ვიდაც მეძახის გეპენიაში...
მე არსად წავალ..
მე აქ მინდა...
მე აქ დავრჩები.

1960

უდაპნოები

აქ იჩოქებდა ოაზისებთან –
შორს მიმავალი ქარაგანი
საუცუნეთა
და ხახამშრალი თრთოდა წყურვილი –
გავარვარეებულ ხმაში მონების.
ხელაპყრობილი იდგა ლოცვა
ყელამდე შიშში,
რადგანაც უტყვი უდაბნოები –
მოქსოვილია ქარით და
ქვიშით.

1971



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ქნარი დავითის	25
ჩვენი წინაპრები	26
*** (ლამაზი ამერ-იმერი)	27
დისტიქი	28
მწერალთა სასახლეში	29
*** (სიკვდილ-სიცოცლის)	30
ნარიყალასთან	31
*** (ვითარცა ზღვაში)	32
მნათობები	33
ალვას, პალმას, კიპარისს	34
პოეზიის აისბერგები	35
სიბერე	36
გადაფრენა	37
*** (მშობლიური ცის)	38
გურიაში	39
ქართლის წარსული	40
*** (წლებმა...)	41
შენი სიშორე	42
ფიქრიანი დამე	43
ბარათაშვილი	44

*** (სამშობლო მტერი)	45
ზამთრის ღამე	46
ნახეთ შავი ზღვა	47
ბროწეულის ხე	48
მხოლოდ სამშობლო	49
ყაყაჩოები	50
ქართლი	51
ღამე სვანეთში	52
გაზაფხულის თოვლი	53
ცაში მეგულები	54
საუკუნო სასუფეველი	55
გალობ და გალობ	56
დიდი წიგნი	57
ისევ წინაპრები	58
შემოდგომის ტყე	59
ქრისტეა თუ ბუდა	60
შაშვები	61
*** (მრისხანებს ზეცა...)	62
მგზავრობა წარსულში	63
კაწალხევში	64
*** (რიდე – მანდილით)	65
სამეგრელოში	66
სასაფლაოზე	67

სიყვარულო.....	68
მომავალი მახურავს საბნად	69
მე დავივიწყე ქვეყნად ყოველი.....	70
კოლხი	71
ზაფხულის დამე.....	72
ზღვა.....	73
მოგონება	74
უეცარი ზამთარი	75
უამთა ქარები	76
წყაბუ	77
ფრთხილად	78
პირველი ოვალი.....	79
ხორგა	80
არაგვზე	81
კიმერიელები.....	82
შემოდგომის დღე.....	83
უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ.....	84
დედამიწა ვარ მე.....	85
დღეები.....	86
უწარწერო ლოდები.....	87
ქადილი	88
ზაფხულის ტყეში.....	89
ქსანს და ბაგინეთს	90

*** (დამე გამოდის ცის ბუნაგიდან).....	91
წმინდა ლანდები	92
ნატურმორტი.....	93
მტრედი.....	94
ივლისი ზღვაზე	95
დღეები მოაქვთ ქორებს	96
*** (თუმც გვიან...).....	97
წევს უზრუნველი.....	98
ცამ ელვის დანით	99
*** (კითარც დროშას).....	100
*** (გამოენისას)	101
*** (ხან დემონი ხარ).....	102
ჩემი ხორგა	103
ცეცხლი	104
*** (რძეულ ტალღების ურდოს)	105
*** (ო, ღმერთო ჩემო!).....	106
*** (საუკუნეთა მტვრიან საცერმი).....	107
*** (იასამანის ლურჯი გალობა).....	108
*** (სამარადისოდ...)	109
*** (ზეცას სდიოდა სისხლი შვიდფერი)	110
*** (განთიადისას რომ აგუგუნდეს).....	111
ჰე პოეტებო	112

ჩემი გული.....	113
*** (წარსული უცებ ამომზიანდა).....	114
*** (შურით).....	115
ბროწეულები ყვაოდნენ.....	116
არმაზის ნეკროპოლი.....	117
ტერენტი გრანელი.....	118
მთანი მაღალი	119
ჩემი მდინარე.....	120
ზღვის ლურჯ ტილოზე.....	121
და ააყვავებს ციცინათელებს	122
ანდერძი	123
იასამნები.....	124
*** (მზე უცებ).....	125
დაჩი და ზურაბი	126
მზის გადასარჩენად	127
იულიუს კეისარი.....	128
მესხეთში	129
„ურმული“	130
გაღმა ნაპირი	131
*** (თოვს...).....	132
*** (ცა წუხდა დამის).....	133
კოლხური საღამო	134
*** (დამე)	135

გირვა.....	136
*** (ცაში ისევ ადის ლოცვად).....	137
ცის ყვავილები.....	138
*** (მთებზე შემდგარო თბილისო).....	139
*** (სიცივესს ცივა).....	140
*** (სანაპიროზე შავით მოსილი).....	141
ღამე.....	142
ზღვა და ხმელეთი.....	143
ჩალურჯებია თვალები იას	144
*** (მზე ოქროს ფრთებს შლის).....	145
როიალი	146
დაჩის	147
*** (დაკეტილია სიყრმის კარები).....	148
*** (ნისლში მცურავი დედამიწის).....	149
პირველი მერცხალი	150
პიკასოს და მოდილიანს.....	151
*** (მიდის ბინული).....	152
*** („ნანას“ რომ მიმღერს ხობისწყალი)	153
*** (დამეულ ბაღში დგას შემოდგომა) ..	154
*** (შენსკენ მარადუამს მოვილტვი).....	155
დედას.....	156
ოფაშ შუქა.....	157

*** (მეხთატეხა)	158
ეკლესიაში	159
*** (გარდასულ დროთა ვარ მოგზაური)	160
პოეტის ჩანგი	161
ჯოდო	162
*** (შავი ზღვის თვალში)	163
ცა მშობლიური	164
*** (უცებ დაიმსხვრა ჩემი ბომონი...)	165
*** (მღერი თუ ტირი ჩანგს ახმიანებ)	166
*** (თვალებს გაახეელს დრო გარდასული)	167
ლადო გუდიაშვილს	168
მეფე ერეპლე	169
*** (სადღაც იქლვა)	170
*** (აქ ყველაფერი თავისას ითხოვს)	171
*** (თავდავიწყების ბრუნავს ქაოსი)	172
*** (ცა თავს გვაწონებს)	173
სახლობს უფალი	174
*** (ცრემლის წვიმად)	175
*** (თქვენს შესახვედრად)	176
*** (ნაოჭებია თუ ფიქრების ნაკადულები)	177

*** (მოველ...)	178
*** (მორს...)	179
წასულა ყველა.....	180
*** (ტალღებს აღვიძებს...)	181
იმედა.....	182
*** (ქარის მსუბუქ ფრთხებს).....	183
განთიადი.....	184
რომ არ ჩათვლიმოს	185
*** (შენი სიცოცხლის სანაპიროზე).....	186
არ გაგახსენებ.....	187
სიმარტოვე.....	188
*** (აქ, ამ ყურესთან).....	189
ქორწილი	190
*** (სიცოცხლე).....	191
და მე მომეხმა	192
*** (იმედის ქოხში...).....	193
*** (დღეებს ისევ სურთ...)	194
*** (თუმცა სიცოცხლე)	195
თავდავიწყება.....	196
ყარაიასთან	197
ციცინათელები.....	198
ჩემი მიზნები	199
*** (საუკუნეთა მღვრიე ქარავანს).....	200

ნუ გააღვიძებთ	201
ქედები.....	202
*** (შემოდგომაა).....	203
ახალი მთვარე.....	204
*** (ეტეხე საჭრეთლით...)	205
*** (მოდი!).....	206
*** (ჩაუბდუჯიათ ხელში შუბივით).....	207
*** (ჩვენი ბავშვობის შუკებს...).....	208
*** (დღეები ბაძავენ წეროებს...)	209
წიგნი „ამაღლება“.....	210
ფოთი	211
შენ საქართველოს გადგას უღელი.....	212
ყელამდე ომში გმინავს წარსული	213
ტეხურის პირას	214
*** (ვით მეგობარი და ახლობელი).....	215
*** (როცა ქარები).....	216
*** (გათენდა).....	217
ო, ალბათ, მაშინ.....	218
*** (ფაზისის პირას)	219
მცხეთასთან.....	220
*** (ჭიშკართან დამდგარ...)	221
აფხაზი	222
უგარსკვლავო დამე	223

ჯორდანო ბრუნო.....	224
*** (მესიზმრა...)	225
შავი ზღვა.....	226
*** (დამეა ფიქრში...)	227
ეგვიპტე	228
კოლხე	229
*** (პიტალო ქვაა წუთისოფელი).....	230
*** (წარმართებივით...)	231
ბელავ	232
პომპეის ხიდი	233
სამყარო	234
კახეთი	235
რეკავს ფოლადი	236
თოვლი	237
ჩემო ქართულო	238
სამოთხე	239
უდაბნოები	240

D. J. Gammie



2020.6.

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 73

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 73

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – როინ ბერია |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – გილდა სუსიშვილი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყადეაშვილები |
| გამომცემელი | – მათო დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com